# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 2012 წელი.

№239 (7115)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## წითელქაბიანი პუტკუნა გოგო...



④

## სამართალი – სამართლიანი კანონებით! ③



## და ისევ ყბადაღებული ნატოს თემა



⑤

## მოსაზრებანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო სისტემის რაციონალიზაციის თაობაზე ⑦

## სესხების სიიაფეზე გამავალი კეთილდღეობის გზა ⑦

## „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ მესვეურებს კანონის წინაშე მოუწევთ პასუხისგება ⑥






## ⑨ ბიუჯეტი გადამღერე-ბულიაო?!.

## „მექალთანეები“ და „მორალისტები“ ⑪

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## კოჰაბიტაციის სანაცვლოდ სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტას გიგა ბოკერია ითხოვდა

**კოჰაბიტაციის სანაცვლოდ სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტას ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია ითხოვდა, — ამის შესახებ ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განუცხადა.**

**— ბატონი გიორგი ბოკერია ითხოვდა, რომ შეწყვეტილიყო სისხლის სამართლის დევნები იმის სანაცვლოდ, რომ ოპოზიცია მოქცეულიყო წესიერად და კონსტრუქციულად, — განაცხადა თეა წულუკიანმა.**

როგორც ჟურნალისტებს თეა წულუკიანმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილესთან დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის საკითხებში ტომას მელიასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განუცხადა, ის მოწოდება, რომელსაც წერილი შეიცავს, ძალიან კარგი მოწოდებაა.

— ძალიან კარგი მოწოდებაა, რადგან საქართველოში 25 ოქტომბრის მერე სისხლის სამართლებრივი დევნა პოლიტიკური არ ყოფილა, — განაცხადა თეა წულუკიანმა და აქედან გამომდინარე, მისი თქმით, პრობლემაც არ არსებობს.

## უფლებაშელახული ადამიანების განცხადებების რაოდენობა 7 000-ს აჭარბებს

**პროკურატურის ოფისებში უფლებაშელახული ადამიანების მიერ შეტანილი განცხადებების რაოდენობა 7 000-ს აჭარბებს, - ამის შესახებ სასტუმრო „თბილისი მარიოტში„ მიმდინარე უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა განაცხადა.**

**მისი თქმით, 1 000-მდე განცხადება ეხება იმას, რომ ადამიანები პენიტენციურ სისტემაში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე ჩივიან.**

— ეს მიუთითებს იმაზე, რომ საპყრობილეებში ცხოვრების წესი იყო დანაშაულებრივი. გვაქვს მოცემულობა, როდესაც ციხეებში გამონაკლისის სახით იყო დაცული ადამიანების უფლებები. ჩვენ ვახდენთ მსგავსი საკითხებისა და იმ პირების დაჯგუფებას, რომლებიც მხილებული არიან ერთნაირ ქმედებებში, რათა ადეკვატურად დაიწყოს გამოძიება, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

მისი თქმით, აქამდე უწყებას ჰყავდა სულ 43 გამომძიებელი საქართველოს მასშტაბით, დღეს კი მათი რაოდენობა იზრდება, თუმცა არსებობს ადამიანური რესურსების პრობლემა.

მთავარი პროკურორი ბოლოდროინდელ დაკავებებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ თითოეული ადამიანისთვის ბრალის წარდგენისას პროკურატურა უკიდურესად დასაბუთებული და ფრთხილია.

**ინტერპრესნიუსი**

### ანგარიში

## არასამთავრობოთა რჩევები მთავრობას

**არასამთარობო სექტორს ახალი მთავრობის ეკონომიკური ინიციატივების შესახებ კრიტიკული შენიშვნები აქვს. სახელმწიფო დაზღვევა, დაუბეგრავი მინიმუმი და, ზოგადად, წინასაარჩევნო დაპირებები, მათი აზრით, ხელშესახები შედეგის მომტანი ვერ იქნება. ისინი ფიქრობენ, რომ დაპირებების დიდი ნაწილის შესრულება მოკლევადიან პერიოდში არარეალურია. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი 2014 წელი იქნება.**

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითმა ცენტრმა 2013 წლის საბიუჯეტო პროექტთან დაკავშირებით ანგარიში მოამზადა, რომელშიც გაანალიზებულია მომავალი სამთავრობო ინიციატივები, მისი განხორციელების გზები და ეფექტურობა.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრი სახელმწიფო სადაზღვევო ფონდის შექმნის ინიციატივას რისკის შემცველად მიიჩნევს. საუბარია მთავრობის ახალ ინიციატივაზე, რომელიც მოსახლეობის საბაზისო სამედიცინო პაკეტით უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო სადაზღვევო ფონდის შექმნას ითვალისწინებს. სადაზღვევო კომპანიის ფუნქციას სწორედ ეს ფონდი შეასრულებს.

თუმცა, როგორც ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია მხოლოდ მოსახლეობის ნაწილს დააზღვევს, რადგან კერძო მზღვეველები, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებით ბენეფიციარებს აზღვევენ, მომავალშიც გააგრძელებენ პროექტში მონაწილეობას. აქედან გამომდინარე, სადაზღვევო ფონდი მხოლოდ 2,2 მლნ ადამიანის დაზღვევას უზრუნველყოფს.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრის ექსპერტის ლაშა დოლიძის შეფასებით, ის ფაქტი, რომ ფონდის მმართველი და მესაკუთრე სახელმწიფო იქნება, მის ეფექტურ მუშაობასთან დაკავშირებით საკმაოდ დიდ რისკებს აჩენს.

„როგორც ცნობილია, სახელმწიფო ინსტიტუტები, კერძო სექტორთან შედარებით, ასეთი ფონდების მართვაში არც ისე ეფექტურნი არიან. დამატებით რისკებს შეიცავს ასეთი ფონდის არსებობა შესაძლო არაკანონიერი გარიგებების არსებობის კუთხითაც. მიზანშეწონილია, სახელმწიფომ მოსახლეობის კერძო სადაზღვევო კომპანიებში დაზღვევა უზრუნველყოს და იმავდროულად, ასეთი სადაზღვევო კომპანიები პერმანენტულად გააკონტროლოს", — განაცხადა ლაშა დოლიძემ.

გარდა ამისა, კრიტიკა შეეხო სხვა სამთავრობო ინიციატივებსაც. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრის შეფასებით, მთავრობის მხრიდან ინიცირებული დაუბეგრავი მინიმუმის ოდენობა ეფექტიანი არ არის. დოლიძის გაანგარიშებით, მთავრობის მიერ შეთავაზებული ცვლილებებით, ადამიანი დღეში მხოლოდ 98 თეთრს ზოგავს. იმის გათვალისწინებით, რომ დაუბეგრავი მინიმუმის მექანიზმით სარგებლობისთვის ადამიანის ხელფასი 500 ლარით უნდა იყოს განსაზღვრული, აღნიშნული შეღავათი არცთუ ისე დიდი ეფექტის მომტანია.

**„გარდა ამისა, აღნიშნული შეღავათის ღირებულება სახელმწიფოსათვის ჯამში 170 მილიონ ლარს უტოლდება. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილი იქნება, სახელმწიფომ უარი თქვას ასეთი შეღავათის დაწესებაზე და ზემოხსენებული სახსრები გამოიყენოს თუნდაც ჯანმრთელობის დაცვის იმ პროგრამების დასაფინანსებლად, რომელთა ხარჯები სადაზღვევო პაკეტით არ იფარება",** — აცხადებენ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრში.

საბოლოო ჯამში კი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი მთავრობას წინასაარჩევნო დაპირებების სერიოზულ რაციონალიზაციას ურჩევს.

**„მთავრობამ უნდა შეძლოს და მოახდინოს წინასაარჩევნო დაპირებების ძალიან სერიოზული რაციონალიზაცია. დაპირებების დიდი ნაწილის შესრულება მოკლევადიან პერიოდში არარეალურია. ვფიქრობთ, ამ მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვანი 2014 წელი იქნება, როცა ახალ მმართველ გუნდს მართვის სათანადო გამოცდილება უკვე ექნება",** — ნათქვამია ცენტრის ანგარიშში.

**ეკა ბაქრაძე**

### შეგონება

## რატომ სწყინთ „ნაცებს" „პოლიტიკური სუტენიორობა" და რატომ სიამოვნებთ „კოჰაბიტაცია"

**ალმაშფოთებელია, როცა სისტემატურად უყურებ „ნაცდეპუტატების" უტიფარ გამოსვლებს, მაგრამ მე უფრო მეტად აღმაშფოთა „ქართული ოცნების" წევრების — პარლამენტარ კობა დავითაშვილის და პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის გამოსვლამ პარლამენტში 8 დეკემბერს.**

ნაცვლად იმისა, რომ გამოსარჩლებოდნენ საკუთარი გუნდის წევრს, სიმართლის მთქმელ ნუკრი ქანთარიას და საკადრისი სიტყვიერი პასუხი გაეცათ „ნაცებისთვის" ქანთარიას გალანძღვისათვის და, ფიზიკურიც — ქანთარიასკენ გაქაჩული რამდენიმე „ნაცყოჩისთვის", პირიქით, დავითაშვილმა კორექტულობისკენ მოუწოდა ქანთარიას, უსუფაშვილმა კი ბოდიში მოუხადა „ნაცებს", და პირობაც მისცა — **მსგავსი რამ აღარ განმეორდებაო!**

კი მაგრამ, ვის უხდით ბოდიშებს, თქვე კაი დედმამიშვილებო, მკვლელებს და სადისტებს (ახალ დეპუტატებს არ ეხება) და მათ თანამზრახველებს (ახლებსაც ეხება)?! **თავაზიანობის „მასტერ-კლასებით" გსურთ „ნაცების" გამოსწორება, მათი მორჯულება?!** თუ, თვალებს უხვევთ ვინმეს(!) — აი, რა სანიმუშო ყოფაქცევის პარლამენტარები ვართ „ქართული ოცნებიდან", თუ საჭიროა, არც ბოდიშის მოხდაა უცხო ჩვენთვისო. კი ბატონო, სწორედ წესიერი კაცი იხდის ბოდიშს დაშვებული შეცდომისთვის, მაგრამ თქვენ რა გჭირთ ბოდიშის მოსახდელი, რისთვის იხდით ამ ბოდიშს? განა **„ნაცდეპუტატების" შედარება „პოლიტიკურ სუტენიორებთან" ყველაზე რბილი შედარება, „კამფეტი" არ არის იმასთან, რასაც ისინი იმსახურებენ?!**

არადა, სურვილის და პატარა მიხვედრილობის შემთხვევაში, სულ ადვილად შეიძლებოდა „ნაცების" ადგილზე მოსმა ერთი საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ჭეშმარიტების პირში მიხლით: „პოლიტიკურ სუტენიორებად" მხოლოდ ამ ორ ქალიშვილთან მიმართებაში შეიძლება თქვენი მიჩნევა, თორემ, **სინამდვილეში, ერთი პოლიტიკური სუტენიორი-ლიდერის სტაჟიანი „ობიექტები" ხართ თქვენ ყველანი 2003 წლიდან!** იქნებ ვინმე შემედავება, რომ ასე არ არის რეალურად? რომ „ნაცდეპუტატები" იგივე ფუნქციას არ ასრულებენ, რისთვისაც არ ემეტებოდა სწორედ ქანთარიას ახალგაზრდა სიმპათიური გოგონები (ბოკუჩავა და საჯაია)! ასე კია, მაგრამ ხმამაღლა, საჯაროდ თქმა არ ივარგებს? მაშინ ელოდეთ, რასაც კაცთმოძულეებთან „მასტერ-კლასებით", კეკლუცობით და „კოჰაბიტაციით" მიაღწევთ!




ახლა იმის თაობაზე, თუ რატომ სიამოვნებთ „ნაცებს" „კოჰაბიტაცია".

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დასავლეთის(!) შემოთავაზებულია; მეორე, უცხო სიტყვაა, თანაც ინგლისური(!) და თანაცხოვრებას ნიშნავს; მესამეც, ბევრ ისეთ რამეზე აძლევს „ნაცებს" პროტესტის გამოთქმის უფლებას, რაც სხვა შემთხვევაში არაფრით არ მოხერხდებოდა. ნებისმიერი ზეწოლა — ხალხის მხრიდან იქნება ეს (საკრებულოს თავმჯდომარეების და გამგებლების გადარჩევის მოთხოვნა), თუ ხელისუფლების მხრიდან (დამნაშავეების დაჭერა და საფინანსო შემოწმებები), პოლიტიკურ ზეწოლად და შერჩევით სამართლად შეუძლიათ შეაფასონ და ... იმეილიც აფრინონ ძია სემთან — ნახეთ, როგორ გვექცევა „ქართული ოცნება", თანაცხოვრების ნაცვლად საქართველოს გმირების და „ცოტნე დადიანების" დაჭერებს მიჰყო ხელი, „ხერხემალზედაც" თვალი უჭირავს და, ვატყობთ, სიმწრით ნაშოვნ მილიონებსაც ისევ ხაზინაში დაგვაბრუნებინებს ახლო მომავალშიო!

რა მოყვება ამას? სწორია! კომისიების და ემისრების მეგობრული ვიზიტები სათანადო რჩევა-რეკომენდაციებით — ნაწილი საჯაროდ სათქმელი, ნაწილიც — „შიდა სამსახურებრივი მოხმარებისთვის" გამიზნული. ამას, თავის მხრივ, ხალხის გაფრთხილება მოყვება „ქართული ოცნების" მხრიდან — არ შეაწუხოთ საკრებულო-გამგებლები 2014 წლამდე და პრეზიდენტი — 2013 წლის ოქტომბრამდეო. თავად „ოცნება" საოცნებო გარემოს შეუქმნის „ნაცებს" და მათთვის „პოლიტიკურ სუტენიორზე" უკეთეს შედარებებს მოიფიქრებს.

იხ. 4 გვ.

### სკოლა

## მანდატურებს უფლებები შეუზღუდეს

**სკოლებში მანდატურის საქმიანობასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში ცვლილებები შედის. როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ალუდა გოგლიჩიძემ განაცხადა, სკოლების შინაგანაწესის კონტროლს მანდატურები ვეღარ მოახდენენ. ასევე, მისი თქმით, შინაგანაწესს სკოლები ინდივიდუალურად შეიმუშავებენ.**



— საზოგადოების მხრიდან დღევანდელი ხელისუფლების მიმართ ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაკვეთა იყო, რომ სკოლებში მომხდარიყო დეპოლიტიზაცია, რისი ერთ-ერთი ინსტრუმენტი გახლდათ მანდატურის სამსახური. მანდატურის სამსახურთან დაკავშირებით განხორციელდება საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც მანდატურის ფუნქციას გამოაკლდა სკოლების შინაგანაწესის კონტროლი, ასევე შინაგანაწესს სკოლები ინდივიდუალურად შეიმუშავებენ. ეს მუხლი იძლეოდა მანიპულირების საშუალებას და იყო პედაგოგებზე ზემოქმედების ინსტრუმენტი. მანდატურების ფუნქცია ზოგადად არ არის შინაგანაწესის კონტროლი. განათლების სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხო სკოლა და დისციპლინის დაცვა, მანდატურის სამსახური მთლიანად მიმართული იქნება მოსწავლეებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, — განაცხადა ალუდა გოგლიჩიძემ. მისივე თქმით, გარკვეული ცვლილებები მზადდება სხვა მიმართულებითაც.

მისივე თქმით, ამ ცვლილებების მიხედვით, აღმოიფხვრება ერთგვარი ორხელისუფლებიანობა სკოლაში, რადგან მანდატურის სამსახური დაქვემდებარებული იყო მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროზე. ამდენად, სკოლაში გაურკვეველი იყო ურთიერთდამოკიდებულება მანდატურის სამსახურსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის.

მანდატურის სამსახურის უფროსის ლევან აბაშიძის განცხადებით კი, სკოლებში მანდატურები დისციპლინარული დარღვევის ოქმს მასწავლებლებთან დაკავშირებით ვეღარ დაწერენ.

— აქამდე თუ მანდატურები დისციპლინარულ დარღვევის ოქმს ადგენდნენ მასწავლებლებზე, ეს აღარ მოხდება. იმ შემთხვევაში თუ, ვთქვათ, გაკვეთილი არ ჩატარდა ან მსგავსი რამ მოხდა, ისინი აცნობებენ ამას სკოლის ადმინისტრაციას და შემდეგ უკვე სკოლის ადმინისტრაცია მიიღებს შესაბამის ზომებს. დისციპლინარული დარღვევის ოქმები მანდატურების მხრიდან მხოლოდ სკოლის მოსწავლეებზე დაიწერება, — აღნიშნა ლევან აბაშიძემ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურად დასანიშნად პირს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრების ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული მოსამზადებელი კურსების გავლა აღარ მოეთხოვება.

მისივე თქმით, შესაბამისი ცვლილებების პროექტი პარლამენტს უკვე გადაგზავნილი აქვს და ეს ცვლილებები, სავარაუდოდ, მომავალი სასწავლო სემესტრიდან ამოქმედდება.

**ინტერპრესნიუსი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№239. ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 2012 წელი.

ნატვრა

# სამართალი — სამართლიანი კანონებით!

**სირცხვილის ალი მედება და ვიწვი, როდესაც უხამს, გაუგონარ, და შემაძრწუნებელ ბრალდებებს ვისმენ ნაციონალური მოძრაობის იმ წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც აგერ ახლა, სულ ორიოდე თვის წინათ პასუხსაგებ თანამდებობებზე ისხდნენ და ქვეყნის მმართველობაში მონაწილეობდნენ.**

ორ დეკემბერს, დილით რადიო „პალიტრამ“ დამატებით ის ინფორმაცია გამოაცხადა, რომელიც თითქოს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო საზოგადოებისთვის. ამის შესახებ ხომ კარგა ხანია ჩურჩულებდა ხალხი და არაფერიც არ უნდა გაგვკვირვებოდა, მაგრამ გამიკვირდა ის, რომ ეს ინფორმაცია მხოლოდ ერთხელ გაშუქდა და დღის დანარჩენი ინფორმაციებიდან ამოღებული იყო. ასე იყო თუ ისე, რადიოთი გადმოცემული ამბავი შემზარავ ფაქტებს მოიცავდა და ეხებოდა ერთი ცნობილი ოფიცრის შეურაცხმყოფელი წამებით გარდაცვალებას. ინფორმაციაში დასახელებული იყვნენ მწამებლებიც.

იმის შემდეგ, რაც არჩევნების წინ პატიმრების წამების საშინელი სურათები ვიხილეთ ვიდეოზე გადაღებული, უკვე არაფერი არ უნდა გვიკვირდეს, მაგრამ მსგავსი სისაძაგლის შესახებ გახმოვანებულმა ამბავმა, მაინც ძალიან ამაღელვა. არ ვიცი, რა დავარქვა ამ გარეწართა ქმედებას და რა დავარქვა იმათ, ვინც ბედავს და ხმას იღებს მათ დასაცავად! ვინც ბედავს და ასეთი, კაცობრიობისათვის მიუღებელი, ანტიჰუმანური სისტემის შექმნისათვის პასუხისგებაში მიცემულთ პოლიტპატიმრებად წარმოგვიჩენს.

არჩევნების შემდეგ საქართველო უცნაურ ყოფაში აღმოჩნდა, აქეთ ვითომ ახლად არჩეული პარლამენტი და იქით ძველი პრეზიდენტი, დედაქალაქში და რეგიონებშიც საკმაოდ უხვად მიმობნეული თავისი ერთგული „ნაზირ-ვეზირებით“, კიდევ იქით, თუ არ ვიცი საით (იქნებ სულ თავში!) გაოგნებული ხალხი!. თავი მოვიკალით, არჩევნებში რომ კვლავ არ მოვეტყუებინეთ გაყალბების ოსტატებს და შედეგად უცნაური რამ მივიღეთ! კავკასიური ცარცის წრე? ესეც, მაგრამ ორხელისუფლიანობა ვართო, აკონკრეტებს პრეზიდენტი და ამით აშკარად გამოყოფს თავის თავსაც და თავის საუფლოსაც. ეს კიდევ არაფერი. მთავარი და საკვირველი ის არის, რომ ახლადარჩეული პრემიერ-მინისტრი და მისი „ჯალაბობა“ თავის მართლების პოზაში აღმოჩნდნენ არა მარტო შინაურ, არამედ გარეშე მტერ-მოყვრის წინაშე.

საკვირველიც არის და უცნაურიც. ხელისუფლების შესაცვლელად ძალ-ღონეს არ ვიშურებდით, ვინ მოთვლის, პირველი ოქტომბრის არჩევნებს, რამდენი გაყალბებული არჩევნები, რამდენი დემონსტრაცია, მთავრობის უკმაყოფილო ხალხის რამდენი გამოსვლა და „უძლეველი ხელისუფლების“ მიერ ამ გამოსვლების სისხლში ჩახშობა უძღოდა წინ... არჩევნები, აწ ყოფილი ხელისუფლების გამოისობით ნამდვილად არ იყო დემოკრატიული (თავი რატომ უნდა მოვიტყუოთ!), მაგრამ, როგორც იქნა, ხალხმა დაძლია მოძალადეთა მიერ დაგებული ბარიკადები და, გავიმარჯვეთ. ეს სიხარული ახლა ლამის წყალში ჩაგვეყაროს. თვენახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც ახალი პარლამენტი შეუდგა მუშაობას და მთელი ეს დრო ძველი პარლამენტის ახალ უმცირესობაში მოვლენილი წევრები, დაბოლმილები, გაავებულ- გაშმაგებულნი, ტრიბუნებიდან თუ ტელეარხებიდან, უმტკიცებენ საზოგადოებას, ქვეყანას უსუსური მთავრობა ჰყავსო, რომ გამოუცდელი და უცოდინარი ჩინოვნიკები უკანონოდ აპატიმრებენ ყოფილ მინისტრებს — პატიოსან და წესიერ ადამიანებს. რომ ქვეყანას მოუმრავლეს პოლიტიკური პატიმრები, რომ... და არ ჩერდებიან. შავზე ამბობენ, თეთრიაო და ვისაც ამის სურვილი აქვს, უჯერებს კიდეც! გამომწვევად გაიძახიან და აღიზიანებენ საზოგადოებას, და არა მარტო ჩვენსას... საზღვარსაც გადასცდნენ, იმ საზღვარს, რომლის იქით ტყუილებით, მოჩვენებითი „პოტიომკინის სოფლებით,“ ცეკვა-თამაშ-სიმღერებით რვა წლის განმავლობაში მიზანდასახულად და გეგმაზომიერად იღვწოდნენ, რათა თავი წარმოეჩინათ დემოკრატიის შუქურად, რათა საქართველოს (და არა რომელიმე პრეზიდენტის ან პრემიერის) წინსვლითა და გამარჯვებით დაინტერესებული ქვეყნების ნდობა მოეპოვებინათ. სინამდვილეში ამ ცხრა წლის განმავლობაში საქართველო დემოკრატთა ქვეყნად კი არადა, ადამიანთა საპატიმროდ იქცა.

სწორედ ამ ცხრა წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ციხე გამოუვლია 300000- ზე მეტ ადამიანს. დიახ, ამ ხნის განმავლობაში, საქართველოში პირველად გაჩნდნენ თურმე სინდისის პატიმრებიც, პოლიტპატიმრებზე რომ არაფერი ვთქვათ. შუქი და კარგი გზები ჩვენი დამსახურებააო, — სიბნელეში მყოფი ხალხის წინაშე ტრაბახობდა ყოფილი ხელისუფლება. არადა, სიბნელე რომ არა, ისე საიდან და როგორ გამოიზრდებოდნენ ის კაციჭამიები, რომლებმაც თავიანთი გარეწრობით ხალხს თმები ყალყზე დაუყენეს (მათგან ზოგიერთი, არჩევნების წაგების შემდეგ, საზღვარგარეთ გაიპარა)!.. წარმოგიდგენიათ, რა ხდებოდა! ეს დავინახეთ მაშინ, როგორც კი ცოტა გამოსინათლდა და უფრო დიდ სინათლეში ფარდა ხომ ყველაფერს აეხდება! დასანახს ადვილად დავინახავთ, სინდის-ნამუსიანებს სირცხვილის მწველი ალი ერთხელ კიდევ გადაგვირბენს სახეზე, მაგრამ მაინტერესებს, რა დაემართებათ იმათ, ვინც ასეთი სამარცხვინო სისტემა შექმნა, ან ხელი შეუწყო მის შექმნას? ნუთუ დამნაშავეებზე კვლავ პოლიტპატიმრებიაო, იტყვიან?

დიახ, საუბედუროდ, ახლა ისეთი დროა, ხელს ვერ ჩავიქნევთ და ვერ ვიტყვით — რაც იყო, იყოო! თუ გვინდა, რომ ამოვიდეთ იმ სიბინძურიდან და ტალახიდან, რაშიც ვიყავით (და ჯერჯერობით ვართ, სამწუხაროდ!), აუცილებლად უნდა გავიგოთ და ყველას გავაგებინოთ ის, რაც იყო, დამნაშავეებმა სისხლის სამართლის წინაშე პასუხი აგონ, რომ მეორედ არ განმეორდეს ის საშინელება, რასაც ადამიანის მიერ ადამიანის წამება ჰქვია!.. ცრუპენტელობა, ხალხის ნაშრომ- ნაამაგარის მითვისება ხელობად არ უნდა გაიხადოს არც ერთმა ჩინოვნიკმა... არა, მართლა, სანამ უნდა გვეცხოვრა იმ სიყალბეში, ნუთუ არ გვეყო ის წარსული, ის დრო, როდესაც კომუნიზმს ვიშენებდით და „ვხარობდით“. ახლა, ამ



ბოლო ათი- ცხრა წელია კი დემოკრატიას ვაშენებდით და მერე როგორ, წარმატებით!.. მსოფლიო შევძარით, მოდით გვნახეთ, ვინა ვართ და როგორებიო! მოდიოდნენ და ტაშსაც გვიკრავდნენ, გვასაჩუქრებდნენ კიდეც, რა იცოდნენ, თუ ვის ჯიბეებში ჩადიოდა მათი საჩუქრები. დიდი განსხვავება არ იყო აწ გარდაცვლილ კომუნიზმსა და საქართველოს ყოფილი მთავრობის მიერ აშენებულ დემოკრატიას შორის. თუმცა, არა, იყო განსხვავება. არავის არ სჯეროდა კომუნიზმისა, არც შინ და მით უფრო, არც გარეთ. ეს დემოკრატია კი ბევრმა დაიჯერა. განსაკუთრებით, საზღვარგარეთმა! რა იცოდნენ, რომ ეს, მათ მიერ სამაგალითოდ მიჩნეული, ვითომ „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსული ჩინებული ხელისუფლება მუდმივ გაყალბებული არჩევნების „საძირკველზე“ იდგა.

ამ ხელისუფლებამ მასხრად აიგდო კერძო საკუთრება, წილი დაიდო ყველგან, სადაც შემოსავალი და კაპიტალი დაიგულა. დასმენების, დაშინებისა და წამების გზით ადამიანი გახადა უუფლებო... საქმეში. დემოკრატიის მშენებლობის გზაზე წარმატებებში დააჯერა და დაარწმუნა საზღვარგარეთი და განა მარტო საზღვარგარეთი, დაარწმუნა შინაურები, და დაირწმუნა საკუთარი თავი! შინაურები, ანუ მაშინდელი უმრავლესობა, რატომ არ დაიჯერებდნენ რა! ისეთი ცხოვრება მოიწყვეს, მოკვდავი ადამიანი სიზმარშიც რომ ვერ წარმოიდგენდა, სახელმწიფო საკუთარ მამულად დაიგულეს, ხაზინაც, რა თქმა უნდა, მათი იყო და, რა გინდა სულო და გულო, რას ინატრებდნენ ისეთს, რომელსაც არ შეისრულებდნენ. საწყალ ხალხს კი შორიდან აცქერინებდნენ, რა გაფაციცებით ინაწილებდა უმრავლესობის ბრწყინვალე ელიტა დაყადაღებით, დაჯარიმებით და ხალხის ყოფასა და ცხოვრებასთან შეუსაბამო გადასახადებით მოპოვებულ ბიუჯეტს და არც ძლიერი ქვეყნებიდან სესხის სახით შემოსულ თანხებს აკლებდნენ თურმე ხელს. ის კი არა, როგორც ამბობენ, საბიუჯეტო ხარჯების, უბრალოდ, აღნუსხვა და ფურცელზე გადატანაც (მაგალითად, მერიაში) არ ჰქონდათ თურმე წესად. ისეთი კანონი შეუდგენიათ, რომ ვერც ვერავინ მოითხოვდა დანახარჯების გაკონტროლებას.

ასეთი ცხოვრების შემდეგ, ქართველი ხალხი საკმაოდ დაბეჩავდა, რამდენჯერაც მოინდომა საკუთარი მთავრობის მიერ ხელოვნურად შექმნილი სიბნელიდან ამოსვლა, იმდენჯერვე ხელისუფლება მას სასტიკად გაუსწორდა. ერი უსახურ ერთობად აქცია. აი, რა შეძლებია ძალაუფლებას! მაგრამ, ნუთუ მარტო ძალაუფლებას? ალბათ, არა მხოლოდ მას, ადამიანის ბუნებაში ჩაბუდებულ ლტოლვასაც ძალაუფლებისა და ძლევამოსილებისაკენ, რომელსაც დიდწილად კაპიტალი განსაზღვრავს.

დიდი გამოცდილება მიიღო ხალხმა. ამიტომ არავის უნდა გაუკვირდეს, თუ დღესდღეობით ეჭვის თვალით და სიფრთხილით უყურებს იგი მოვლენებს. ვაი თუ სავარძლებში ჩამსხდარ ახლებსაც გაუღვივდეს უფრო თბილად და კომფორტულად მოწყობის სურვილი. ეს უკანასკნელი კი ხალხზე ბატონობისა და ხალხის დაჩაგვრის, უსამართლობისა და ძალადობის გარეშე არ ხდება. ჩინოვნიკი რომ სიმდიდრის მოსაპოვებლად ნაბიჯს გადადგამს, მერე ძნელია მისგან სამართალი მოითხოვო. სამართლიანობა უცნაური რამ არის, იგი პატიოსნების თანამდევია, თუ პატიოსნებაა სამართლიანობის თანამდევი? არც ერთიო, გვეუბნებიან მეცნიერ-მორალისტები, ყველაფერს თურმე კანონი აწესრიგებს... ამიტომ იგონებდნენ ახალ-ახალ კანონებს ყოფილი ხელისუფალნი და სწორედ ეს კანონები იყო უკანონო... რა გინდა, რომ ქნა, ადამიანი ძალაუფლებას რომ მოიპოვებს, რას არ მოიფიქრებს, ცას ქუდად დაიხურავს, დედამიწას ქალამნად ამოიცვამს...

ფრთხილად, ძვირფასო საზოგადოებავ, ვენდოთ, მაგრამ შევამოწმოთ, ვაგრძნობინოთ ახალ მთავრობას, რომ ისინი ჩვენი არჩეულები არიან და ხალხის მსახურნი. ვინძლო, ისეთი ქვეყანა ავაშენოთ, სამართლიანობა არამცთუ ზემოდან ქვემოთ და პირიქით — ქვემოდან ზემოთ, არამედ ჰორიზონტალურად, ერთმანეთის მიმართ მოვიწყოთ!.. ადამიანის კეთილი ბუნების (მაგალითად, ბიძინა ივანიშვილის) იმედად კი არ ვიყოთ, არამედ კანონით ვაიძულოთ მავანნი და მავანნი, ერთმანეთი, რომ სწორი და მართალი გზით ვიაროთ! სამართალი კანონით მოვიპოვოთ!

**გულნარა სტურუა**

ალიან-ჩალიანი

# კრიმინოგენური ვითარება კონტროლირებადია

**ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება სრულად კონტროლირებადია, — ამის შესახებ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ მიმდინარე უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ განაცხადა.**

**მისი განმარტებით, ამ მხრივ ქვეყანაში ვითარება გართულდა ხელისუფლების გადაბარების პროცესში, რადგან კრიმინალებმა გარდამავალი პერიოდით ისარგებლეს.**

**— ჩვენ სამინისტროში არჩევნებიდან მალევე ვერ შევედით და ამ პერიოდში პოლიცია იყო სრულად დემორალიზებული. ისინი დანაშაულზე არ რეაგირებდნენ, რითაც კრიმინალებმა ისარგებლეს და წვრილმანი დანაშაულის რიცხვმა მოიმატა. თუმცა, ჩვენ დავიწყეთ პოლიციის რეორგანიზაცია, შევცვალეთ ყველა სამხარეოს უფროსი და პოლიციის უფროსები. შესაბამისად, მიმდინარე ეტაპზე სიტუაცია სტაბილურია, კრიმინალის რიცხვი მცირდება, დანაშაულის გახსნის სტატისტიკა კი მატულობს. შესაბამისად, დღეს პოლიციის მუშაობით კმაყოფილი ვართ, — აღიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.**

**მინისტრმა კომენტარი ბოლო დროინდელ დაკავებებთან დაკავშირებითაც გააკეთა. მისი თქმით, სამწუხაროა, რომ ხელისუფლების ოპონენტები ამ დაკავებების პოლიტიკურ მოტივაციაზე საუბრობენ.**

**— ჩვენ ამას, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით, რადგან მაქსიმალურად ფრთხილად ვეკიდებით თითოეული ადამიანის ბედს და ვიცავთ სამართლიანობის პრინციპებს. ჩვენ გვაქვს მყარი არგუმენტები და მტკიცებულებები თითოეულ საქმესთან დაკავშირებით და მზად ვართ, ისინი ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მივაწოდოთ, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.**

**— ჩვენ არც ერთი თანამშრომელი პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან არ გაგვიშვია. მათთან ძალიან კომფორტულად ვმუშაობთ, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. მინისტრმა სამინისტროში განხორციელებულ სხვა რეფორმებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ პოლიციის დეპოლიტიზაციის კუთხით მრავალი ნაბიჯი გადაიდგა. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, განხორციელდა კუდ-ისა და სოდ-ის დეპარტამენტის რეორგანიზაცია და მათ ნაცვლად შეიქმნა უფრო თანამედროვე ტიპის დეპარტამენტები.**

**— სოდ-ი და კუდ-ი უკანასკნელ წლებში მძიმე პოლიტიკურ-რეპრესიულ მანქანად გადაიქცა და მათი გაუქმება საზოგადოებრივი დაკვეთა იყო. ასევე, სერიოზული რეფორმები გვაქვს დაგეგმილი პოლიციის აკადემიაში. ამ თემაზე უცხოელ კოლეგებთან ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობს და ველით, რომ იანვრიდან აკადემიაში განახლებული სახის სწავლება დაიწყება. რეფორმები წარმატებულად მიმდინარეობს დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული მდგომარეობის კუთხითაც, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ნაცნობი პორტრეტები**

# წითელკაბიანი პუტკუნა გოგო...



ყველა ქვეყანას ჰყავს თავისი გმირები თუ ანტიგმირები.

ჩვენ რა, წითელი კოჭები ვართ?

ჩვენც გვყავს ჩვენი სოფიო პეროვსკაიები.

საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ბომბსაც სტყორცნიან და ტყვიასაც დაახლიან, ვისაც ჯერ არს.

მაგალითად, ჩიორა.

ჯერჯერობით ტყვიის ნაცვლად სიტყვის ჯერს ისვრის.

მართალია, მთლად მიზანში ვერ ახვედრებს, მაგრამ სეტყვასავით კი აყრის.

და რაც მთავარია, ყველა ეს სიტყვა-ტყვია მოწამლულია, სამსალაშია გალესილი.

ინტერნეტში ჩიორაზე ვიღაცის კომენტარი წავიკითხე: „ვინ გაზარდა ნეტა, ან სად გაიზარდა?“

ვინ გაზარდა და დარწმუნებული ვარ, ალბათ, საკმაოდ ღირსეულმა მშობლებმა, სად გაიზარდა და იქვე, დღევანდელ საპარლამენტო დედაქალაქში. მაგრამ ნათქვამია, მარტო სავარდო და სამაისო ქუთაისი რას უშველის, თუ ბუნებამც არ უშველა!

მე არ ვიცი, მისმა სოფიო ლვოვნასებურმა შიგთავსმა როდის იძალა პირველად, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის არჩევნებში დამარცხების შემდეგ კი ენა პირდაპირ კურარეში ამოივლო.

თუ პარლამენტის სხდომაზე სიტყვას ჩიორა თაქთაქიშვილი იღებს, ე. ი. „ოცნება“ და უმრავლესობა გასაპუტად მდუღარეში უნდა ამოავლოს, მის ნებისმიერ წამოწყებას ხიშტივით გალესილი ენა უნდა შეაგებოს.

აი იმ დღესაც, 5 დეკემბერს, პარლამენტი პოლიტპატიმართა სიაზე მსჯელობდა. გამოგოგდა ეს ცრუმწყაზარი ჩიორა და ბარივით მოჭრა: **„ამ სიაში ჩვენ ვიხილეთ ჯაშუშობაში და შეიარაღებულ ამბოხებაში ბრალდებული პირები, ნეონაცისტური ორგანიზაციის წარმომადგენლები. თუკი პარლამენტი დაამტკიცებს ასეთ სიას, ეს იქნება უდიდესი სირცხვილი არა მარტო ამ პარლამენტის, არამედ მომავალი თაობებისთვისაც“**.

აი ასე, არც მეტი და არც ნაკლები.

ჰოდა, ჩვენი პარლამენტი დღეს თურმე უდიდესი სირცხვილის ოფლს იწურავს, მაგრამ უბედურება უფრო ის არის, რომ ამ სირცხვილით ჩვენი მომავალი თაობებიც, მეშვიდე თაობამდე, დაღდასმულია, რადგან პარლამენტმა პოლიტპატიმართა სიაც დაამტკიცა და შესაბამისი დადგენილებაც მიიღო, უმცირესობის მგზნებარე პროტესტის მიუხედავად.

ასე ფიქრობს, ასე მიაჩნია, ასე ცხოვრობს ეს ქალბატონი, თუმცა სოლიდური ასაკი – 32 წელი (32 წლის თამარმა ლაშა-გიორგი შესძინა ქვეყანას) და უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დიპლომი, საკმარისზე მეტიც არის იმისთვის, რომ მოვლენები საღად შეაფასოს.

ჰოდა, გაივსო ინტერნეტი აღშფოთებული ხალხის გამოძახილით:

„სირცხვილი ბევრი რამეა და მათ შორის შენი არსებობა პოლიტიკაში“.

„სირცხვილი ის არის, გვრიტო, რომ შენ პარლამენტში ზიხარ“;

„შენისთანა ამაზრზენი და გულისამრევი დედაკაცები არცხვენენ ქართველი ქალის სახეს. ერის სიმახინჯე ხარ“...

ჩიორას ლოგიკით, სირცხვილი ის ყოფილა, უმრავლესობამ პოლიტპატიმართა სიაში ჯაშუშობაში და შეიარაღებულ ამბოხებაში ბრალდებულნი, „ნეონაცისტური ორგანიზაციის წარმომადგენლები“ რომ შეიყვანა.

**მაგრამ სირცხვილი ის არ არის, რომ ჯაშუშობაში ბრალდებულნი არიან 26 მაისის მხეცური დარბევის ფოტოფირზე აღმბეჭდავი ჟურნალისტები?** კონკრეტულად რა იჯაშუშეს და თუ იჯაშუშეს, რატომ გამოყარეს ისინი გარეთ ორიოდ დღეში გირაოთი? **მართლა იყო კი მუხროვანში ამბოხება, თუ მთავარსარდლის (სააკაშვილის) უთაურობით გამოწვეული რიგითი უკმაყოფილება?**.. ეს ნეონაცისტები საიდან გამოტყვრნენ და საციხო რა მოიმოქმედეს?

**არ იყო ეს და კიდევ მრავალი სხვა აბსურდული ბრალდება და ამ ბრალდების შედეგად დაკავებული ხალხით ციხეების გადავსება პოლიტიკური დევნა ?**

მაგრამ ჩიორას არ უნდა ეს გაიგოს, რადგანაც ტვინი თავისი პარტიული ბოსების ტვინების რადიოტალღებზე აქვს მომართული. ეს რადიოტალღები კი უბრძანებს, რომ ყალყზე შემდგარი შეხვდეს „ქართული ოცნების“ ყოველ ინიციატივას. ამიტომაც ვერ შეხვდებით მის გამოსვლებში საღი აზრის ნატამალს.

სხვათა შორის, დიდხანს ვიმტვრიე თავი, პარლამენტს გარეთ სად მენახა ეს ქალი. იმ დღეს მოულოდნელად, კინოფილმ „მონანიების“ ერთ ეპიზოდში წავაწყდი.

გაგახსენებთ: ვარლამ არავიძის ქალაქის თავად დანიშვნასთან დაკავშირებული ზეიმი. მუსიკა, გამსკდარი მილიდან ამოხეთქილი წყლის ჭავლი და მის შესაჩერებლად ატეხილი ალიაქოთი და სიტყვით გამომსვლელები... ერთ-ერთ მათგანს – წითელკაბიან პუტკუნა გოგონას ხელში ქაღალდის ფურცელი უჭირავს, მაგრამ სიტყვას ზეპირად ამბობს, ყალბი პათოსით, ფსევდოაღტაცებული ხმით. ყურადღებას არ აქცევს გარშემო ატეხილ გნიასს, თავისას ერეკება.



წითელკაბიანი გოგონა „მონანიებიდან“

**წყლის წვეთივით ჰგავს ის პუტკუნა გოგო ჩიორას, მეტადრე – უემოციო სახითა და ხმარაკრაკით.**

ასეთი (აბულაძის ვერსიის) გოგოები იყვნენ სკოლის პიონერთა რაზმეულის თავმჯდომარეები, კომკავშირის კომიტეტის მდივნები...

**ასეთ ფანატიკურად მოელვარეთვალებიან გოგოებს გამოჰყავდათ საერთო კრებაზე „ხალხის მტრის შვილი“ თანაკლასელები მოსაკვეთად და კომკავშირიდან გასარიცხად...**

... და დროდადრო წამოფრთხიალდება ხოლმე ჩიორა თაქთაქიშვილი თავისი ვარლამ არავიძისა და დოქსოპულოების დასაცავად და მთელი რესპუბლიკის დასაბოღმად.

**როგორც ჩანს, ეს არ არის წითელკაბიანი პუტკუნა გოგოს პოზა, ეს მისი მოწოდებაა.**

**კოკასა შიგან რაცა დგას...**

**ალეკო ასლანიშვილი**

**შეგონება**

# რატომ სწყინთ „ნაცებს“ „პოლიტიკური სუტენიორობა“ და რატომ სიამოვნებთ „კოჰაბიტაცია“

**(მეორე გვერდიდან)** და თუ, მომავალში, სიამტკბილობა შეიქნა ერთმანეთში საერთო ინტერესების საფუძველზე (ვინ იცის, ყველაფერი ხდება!), შესაძლოა, „კოჰაბიტაციაც“ გაღრმავდეს და ორივე მნიშვნელობით (ქვემოთ მოგახსენებთ) მის გამოყენებასაც წინ აღარაფერი დაუდგეს.

მთავარია, როგორც რუსეთის დამაქცევარი, „პერესტროიკის“ ავტორი გორბაჩოვი იტყოდა: პროცესი დაიწყო – პროცესს პოშოლ!

ისე, ამ „ნაცებმა“ „პოლიტიკური სუტენიორობა“ სულ უკუღმა რომ გაიგეს – შინაარსი და ადრესატიც, შემოთავაზებულ „კოჰაბიტაციაზე“ რატომ გაისუსნენ და არ აღშფოთდნენ, ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა ხომ „სექსუალური თანაცხოვრებაა“ (რუსულად – სოჟიტელსტვო ; ქართულად – ერთსიტყვიანი შესატყვისი არ გვაქვს). თუ, თავდაპირველად, მისი მნიშვნელობა არ იცოდნენ, ისევე როგორც უმეტესობამ, შემდეგ ხომ გაარკვიეს, რომ იგი სახელისუფლებო (პოლიტიკური) თანაცხოვრების გამოსახატავადაც გამოიყენება. ასევე, გარკვეულიყვნენ ეს მამაცხონებულები „სუტენიორის“ შემთხვევაშიც და გაიგებდნენ მის ზუსტ შინაარსს და იმასაც, რომ „სუტენიორი“ მამაკაცების პროფესიის აღმნიშვნელია და არა – ქალების, და, ამიტომაც, ქალების ღირსების შემლახავ სიტყვად ის არ იხმარება. შემდეგ უკვე, ადვილად მოტვინავდნენ „პოლიტიკური სუტენიორის“ მნიშვნელობასაც და დარწმუნდებოდნენ ქანთარიას შედარების სიზუსტეში, „ნაცმოძრაობის“ ძველგვარდიაზე ის ხომ ზედგამოჭრილია!

ისე, უცნაური კია, დაიცვა ორი ქალის ღირსება მაშინ, როცა მათთვის შეურაცხყოფა არავის მიუყენებია და, ფეხებზე დაიკიდო, ამ ორიდან ერთ-ერთის მიერ ქართველი ერის ღირსების შელახვა, მისი კრიმინალ ერად გამოცხადება! „ეროვნულ ფასეულობებზე“ მდგარი „ნაცებისგან“ ეს იმდენად გასაკვირი არ არის, როგორც „ქართული ოცნების“ დეპუტატებისგან. მარტო ეკა ბესელიას მორიდებული შენიშვნა და ამ გაუგონარი მკრეხელობის საჯაიას ახალგაზრდა ასაკით ახსნა საკმარისია?! რას მიქვია ასაკი, ყველა დეპუტატი ერთნაირად პასუხისმგებელია თავის ნათქვამზე. საჯაიას მსგავსად, „ქართული ოცნებიდან“ ვინმეს რომ დაეხასიათებინა ქართველი ერი, მას ხომ სასამართლოში უჩივლებდნენ „ნაცები“, მთელ საქართველოში კამპანიას გააჩაღებდნენ მისი პარლამენტიდან გამოსაწვევად და სწორადაც მოიქცეოდნენ. დღეს კი რას ვუყურებთ, ნუკრი ქანთარიას სურათებს აკრავენ კედლებზე და მის პარლამენტარობას აპროტესტებენ „ნაცების“ მიერ მობილიზებული ახალგაზრდები – აქაოდა, ქანთარიამ როგორ აკადრა „ნაცდეპუტატებს“ „პოლიტიკურ სუტენიორობას შეეშვითო“. როგორც ტელეინტერვიუებიდან გამოჩნდა, ამ გოგო-ბიჭებს „სუტენიორის“ მნიშვნელობაც არ სცოდნიათ. თუმცა, რა გასაკვირია, როცა თვით(!) ნუგზარ წიკლაურს სუტენიორობა ქალების პროფესია ჰგონია.

**ნუ ჰგონია ნურავის და, პირველ რიგში, პარლამენტში მყოფ უმრავლესობას, რომ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ისეთივე შემართებით ბრძოლა, როგორც არჩევნებამდე, აღარაა საჭირო.** პარლამენტში ისეთი ბრძოლა უნდა იყოს გაჩაღებული, რომ ძველი დეპუტატებიდან უბატონოდ(!) ხმის ამოღებას ვერ უნდა ბედავდეს ვერავინ, ყველას თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს წარსულში მინაქარისდა მიხედვით. გივი თარგამაძეს როგორ უნდა მისცე „ქართული ოცნების“ ლანძღვის უფლება, როგორ ვერ უნდა ჩააკმენდინო მას ხმა, როცა მისი დანაშაულებრივი „მოღვაწეობის“ (საქართველო-უკრაინა-ბელორუს-რუსეთში) დამადასტურებელი უამრავი სამხილი არსებობს! **უმრავლესობის დეპუტატის ყოველი გამოსვლა ტრიბუნასთან, ნებისმიერ საკითხზე, უნდა სრულდებოდეს „ნაცების“ მიერ ჩადენილი დანაშაულებების გამუდმებული შეხსენებით (მე თქვენ გეტყვით და, სათქმელი გამოილევა!) და მოწოდებით: კართაგენი (ნაცმოძრაობა) უნდა დაინგრეს!** კი არ უნდა დაიშალოს, უნდა დაინგრეს! მსჯავრი(!) უნდა გამოიტანოს სასამართლომ, და **ეს უნდა მოხდეს დროულად, თორემ გაჯეჯილების საშუალება თუ მიეცათ „ნაცებს“, ოცნებების აღსრულება კი არა, შეიძლება „კოჰაბიტაცია“ გაგვიხდეს სანატრელი!**

**იაკობ ლეჟავა,**
10 დეკემბერი, 2012

# და ისევ ყბადაღებული ნატოს თემა



**გასული კვირის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობას, ქართულმა პოლიტიკამ და მედიამ, ტრადიციულად თავს დაატეხა ნატოში შესვლა-არშესვლის თემა — მეტადრე შესვლის და თანაც მედიის ეგზალტირებული ტიტინით — უახლოეს პერიოდში. უსმენ მორიგ მედიურ შეტევას ადამიანთა ტვინებზე და თავისთავად გებადება აზრი, რომ საგარეო პოლიტიკაში არაფერი შეცვლილა, პირიქით, თუ რამე შეიცვალა — აღნიშნული თემის ჭარბი რეკლამაა და მეტი არაფერი.**

საქართველოს ახალ ხელისუფლებას უდავოდ ესაჭიროება (თვით ასე თვლის) საკუთარი დასავლურობის დამტკიცება, თან დასავლეთისთვის თავის ისე გაცნობა, რომ ის გაცილებით დასავლურია, ვიდრე წინამორბედი. დასავლეთიც ყველაფერს ღონობს საქართველოს ახალი ხელისუფლების მოსადრეკად და ამ საქმეში თაფლაკვერსა და ჯოხს ეფექტიანად იყენებს. თაფლაკვერი ის გაუთავებელი დაპირებებია, რომლებიც რა ხანია ყურებს გვიხვრეტს. ჯოხი — იქაური პოლიტიკოსების დიდაქტიკური განცხადებები — პლუს, რესპექტაბელურ გაზეთებში ახალი ხელისუფლების პოლიტიკის ლანძღვაში გადასული კრიტიკა.

ქართული ელექტრონული მედიის მიხედვით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ერთობ გულთბილი მიღება მოუწყვეს ნატოს შტაბბინაში, მრავალჯერ გვაჩვენეს ფანჯიკიძე-რასმუსენის „გულისამაჩუყებელი“ ვიდეოკადრები, რასმუსენის „ღრმადშინაარსიანი“ განცხადება ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით — კატეგორიული ხაზგასმით (ჩვენი მედიის მიერ), რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი.

რასმუსენის ნალაპარაკევის ამ ნაწილს ქართული მედია ერთობ მაჟორულ ტონში ახმოვანებდა, რასაც ვერ ვიტყვით მეორე ნაწილზე, ანუ „მაგრამ“-ის შემდეგ, რომ ითქვა გენერალურის პოლიტიკურ ბაგეთაგან — „თუ საქართველო დააკმაყოფილებს ნატოს მოთხოვნებს“.

**რომ იტყვიან კარგ მთქმელს, კარგი გამგონი უნდაო. გენმდივნის „კარგ“ ნათქვამში, რაღაც არ ჩანს საქართველოს ნატოში ხვალ გაწევრების პერსპექტივა და არათუ ხვალ, ზეგაც. ის, რაც ჩანს, არის ნატოს მოთხოვნები, რომლის შესრულება საქართველოს ძალიან, ძალიან გაუჭირდება. და არათუ გაუჭირდება, ვერც ვერასდროს შეძლებს.**

შეუსრულებელ პრობლემათა შორის (ყოველ შემთხვევაში უახლოეს პერსპექტივაში) ტერიტორიული მთლიანობის, მეზობლებთან, მათ შორის რუსეთთან ურთიერთობის დალაგების, ქვეყნის დემოკრატიზაციის და სხვა საკითხებია. გარდა ამისა, საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაციის უსერიოზულესი საკითხი, თავი რომ დავანებოთ ობიექტურ სასამართლო სისტემას, ეკონომიკას და სხვა. ასეთ ფონზე ცოტა არ იყოს ნაკლებად რეალურად მოჩანს რასმუსენის „ოპტიმიზმი“.

იბადება კითხვა — რას უნდა ემსახურებოდეს საქართველოსთვის გამოწერილი დაპირება? იმას ხომ არა, რომ საქართველომ, მუდმივ მოლოდინში მყოფმა, არასდროს მიაპყროს მზერა რუსეთს. ამასობაში განხორციელდება ქვეყნის „გადემოკრატება“, „გალიბერალება“, „გაევროპელება“ და სხვა „გა-“. ეს პროცესი ხანგრძლივია და მისი სწრაფად დასრულება წარმოუდგენელია.

ზემომოყვანილი, ჩვენს მიერ ნავარაუდევი შესასრულებელი საკითხები, ნატოს შტაბბინის დასტურს საჭიროებს. გარდა ამისა, **საქართველოს მოსახლეობისთვის საჭიროა კონკრეტული და არა ზედაპირული ახსნა იმისა, რა საკითხების პირნათლად შესრულების შემდეგ გაიღება (რეალურად და არა რიტორიკულად) ნატოს კარი.**

საქართველოს მოსახლეობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნატოში შესასვლელი საკითხების ცოდნას, რამეთუ მასზეა (ხალხზე) დამოკიდებული და არა ხელისუფლებაზე, შეძლებს თუ არა ამ საკითხების მოგვარებას ან უღირს თუ არა ეს საკითხები ნატოდ. ვიდრე ჩამონათვალი ოფიციალურად არ გამოქვეყნდება, არასერიოზულად ჩაითვლება რასმუსენის დაპირება გაწევრების თაობაზე.

ქართული მედია ერთობ შეწუხებული ჩანს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. შეშფოთებას გამოთქვამენ არასამთავრობო ორგანიზაციები და ზოგიერთი პოლიტიკური პარტია. შეშფოთების წყარო „პოლიტიკური დევნა და დაჭერებია“ -– ყოველივე ამან ხელი არ შეგვიშალოს ნატოში შესვლაშიო, — აცხადებენ ისინი.

უფრო მეტიც, ედპ-ს ლიდერმა დაგმო პოლიტიკური პატიმრების ამნისტიის საკითხი — სხვაგვარად დაერქმიათ, თორემ ამდენი პოლიტიკური პატიმრის პატრონ ქვეყანას ვინ შეუშვებს ნატოშიო — გულდათუთქულად აცხადებდა ის, თანაც „ოცნებას“ სთავაზობდა ამნისტიის სხვა სათაურით განხორციელებას. ქარდავას ნათქვამი „ქეთო და კოტეს“ მაგონებს — „ჩუმად, ჩუმად არვინ გაგვიგოს“, ანუ ნატომ არ გაგვიგოს.

**მართალია ქარდავა, ოღონდ მხოლოდ ერთში — აურაცხელი პოლიტპატიმრის პატრონი ქვეყნის ნატოში შესვლა-არშესვლას კარგა ხნის წინათ უნდა დასმოდა მსუყე უარყოფითი წერტილი, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, ნატო რომ მართლაც ის ორგანიზაცია ყოფილიყო (ბუნჩულა, კეთილი, სამართლიანი, მშვიდობისმოყვარე), ზოგ გულუბრყვილოს რომ წარმოუდგენია.**

ნატოს თავისი მიზნები აქვს, რომლებშიც გამოკვეთილად მოჩანს დასავლეთ-აღმოსავლეთის კონფრონტაცია, ცხადია, შენიღბული, მაგრამ მაინც. ნატოს სჭირდება საქართველო, უფრო სწორად, ტერიტორია, რუსეთის მეზობლად, საკუთარი პოზიციების განმტკიცებისთვის, თან რუსეთიც სჭირდება ავღანეთიდან გამომდინარე. ამ არჩევანში ავღანეთი სჭარბობს, ამდენად, მას არ სურს რუსეთთან პირდაპირი დაპირისპირება, გარდა ამისა, საკუთარი წესის (ნატოში შესვლასთან დაკავშირებით) უგულებელყოფა.

ახლა, რაც შეეხება პოლიტიკური პატიმრების თემას. ნუთუ უცნობი იყო ეს ნატოსთვის? ძალიან საეჭვოა. მაშ, რით ხელმძღვანელობდა ბრიუსელი, როდესაც გუნდრუკს უკმევდა პოლიტპატიმრებიან სააკაშვილის საქართველოს? როგორც ჩანს, მისთვის მთავარი იყო ის, თუ რამდენ საზარბაზნე ხორცს გააგზავნიდა სააკაშვილი ავღანეთის სასაკლაოზე, ვიდრე ის, რომ საქართველოს პირნათლად შეესრულებინა ნატოს მიერ მიცემული საშინაო დავალება.

**პატივცემულო მკითხველო, შეიძლება თუ არა სასურველად ჩაითვალოს ის ორგანიზაცია, რომელიც თვალს ხუჭავს ხელისუფალთა ბოროტებაზე, რეპრესიებზე და ა.შ., ხელისუფლებაზე, რომელსაც ციხეებში ჰყავს გამომწყვდეული ასობით პოლიტპატიმარი? დარწმუნებული ვარ, ბრიუსელი უტუხად იტყვის — არ ვიცოდიო. ნეტავ ისიც არ იცოდა, რომ 2008 წელს, ომი სააკაშვილმა დაიწყო? იქნებ ისიც არ იცოდა, რომ 1992 წელს აფხაზეთში ომი შევარდნაძემ გააჩაღა?**

ნათქვამია — არცოდნა, არცოდვააო, მაგრამ მსგავსი რამ ერთობ ავტორიტეტული ორგანიზაციისთვის უცხო უნდა იყოს. დროის უმოკლეს პერიოდში ორი ომის გამჩაღებელ სახელმწიფოს, თუ სხვა მზაკვრული მიზნები არ გამოძრავებს, როგორ უნდა დაჰპირდე „ბუნჩულა“ ნატოში გაწევრებას?

2008 წლის ომის გამომწვევი ფაქტორების შემსწავლელი ევროკავშირის კომისიის დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს ნატოში შესვლის საკითხს დიდი წერტილი უნდა დასმოდა, მაგრამ ეს არ მოხდა ნატოს ანტირუსული გეგმებიდან გამომდინარე და ამ გეგმებში სააკაშვილის როლის გათვალისწინებით.

ომის თემამ კიდევ ერთხელ გაიჟღერა პარლამენტის უმცირესობის მხრიდან ომბუდსმენობის კანდიდატ ნანუაშვილთან შეხვედრის დროს. უმცირესობამ კრიტიკულად გამოავლინა ნანუაშვილის „დანაშაული“ - ომის გამჩაღებლის მიერ (საქართველო) აფხაზთათვის ბოდიშის მოხდის თაობაზე. ნანუაშვილის ნათქვამში ახალი მხოლოდ რისკი იყო. ნაციონალთა ზეობის დროს მსგავსი რამ ქვეყნის ღალატად კვალიფიცირდებოდა. სხვა მხრივ, მსოფლიოს თანამედროვე ისტორიაში არაერთხელ ჰქონდა ადგილი ჩადენილ დანაშაულზე სახელმწიფოს მიერ ბოდიშის მოხდას. გერმანია-იაპონიის მაგალითებიც კმარა, მაგრამ ჩვენ ხომ სხვა განზომილებაში ვცხოვრობთ.

ის, რაც მისაღებია ცივილიზებული მსოფლიოსთვის, ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ სულ თავის მართლებაში და სხვის დადანაშაულებაში ვართ. თავის მართლების მიზნით იმასაც ვამბობთ — „ჩაგვითრიესო“.

„ბოდიშის მოხდის“ საკითხი ქართველ და აფხაზ პოლიტიკოსთა ე.წ. „შლაინინგის პროცესის“ დროს შემუშავდა. 2002-2003 წლებში მოვილაპარაკეთ ბოდიშის მოხდის პროცედურაზე და მასთან მიბმულ მთელ რიგ საკითხებზეც. შევარდნაძის სატელევიზიო ბოდიშთან ერთად გაჟღერდებოდა საქართველო-აფხაზეთის შერიგების გეგმა: აფხაზეთის საწინააღმდეგო ეკონომიკური ბლოკადის მოხსნით, კომუნიკაციების აღდგენით და სხვა. სამწუხაროდ, ამ გეგმით არ დაინტერესდა საქართველოს ხელისუფლება.

„ჩვენ დავუმტკიცეთ დასავლეთს, რომ დასავლური ორიენტაცია გვაქვსო“, — ბრძანა თავდაცვის მინისტრმა ალასანიამ. დასავლეთი კმაყოფილია საქართველოს საგარეო კურსის შენარჩუნებით, მაგრამ საქართველოს რა? დასავლეთი იმითაც კმაყოფილია, რასაც ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ რუსეთთან მიმართებაში. „გვსურს, რუსეთი დავაყენოთ კუთხეში, რომ იგი იძულებული იყოს პოზიტიურად უპასუხოს ჩვენს პოზიტიურ ნაბიჯებს, მათი უგულებელყოფა ნეგატიურად აისახება მის იმიჯზე“, — თქვა ალასანიამ.

ვინმეს წარმოუდგენია, პატარა საქართველო როგორ აყენებს კუთხეში ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოს? მსგავსი არადიპლომატიური ლექსიკა უდავოდ არ უწყობს ხელს რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას, რაც აღნიშნა კიდევაც რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ლავროვმა.

კატეგორიული იყო მინისტრის ნათქვამი რუსეთის ბაზრის გახსნასთან დაკავშირებით. მან ხაზგასმით აღნიშნა, სწორედ საქართველოს თანხმობის შემდეგ გახდა შესაძლებელი რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლაო. კეთილი, მაგრამ საქართველოს თანხმობის გარეშე რუსეთს ვერ გააწევრიანებდნენ მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში?

თუ ვინმეს სურდა რუსეთის ამ ორგანიზაციაში შეყვანა -– აშშ იყო, ცხადია, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, და არა მარტო ამერიკა, სხვა ქვეყნებიც დაბეჯითებით ითხოვდნენ ამას. ასე, რომ ქართული თანხმობის გარეშეც რუსეთს თავს უკრავდნენ სავაჭრო ორგანიზაციაში, რის შესახებაც არაერთხელ თქვა რუსულმა მხარემ.

რაც შეეხება რუსულ-ქართულ ურთიერთობებს, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე წვრილი ვაჭრობის დონეს ვერ გასცდება, ვინაიდან მხარეები არ არიან მზად ამისთვის. რუსეთის მიერ საქართველოს ყოფილი ავტონომიების დამოუკიდებლობის აღიარება არის მთავარი დამაბრკოლებელი ამ საკითხში. ჩემის აზრით, ესეც რომ არ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა ორი ქვეყნის კონსტრუქციული ურთიერთობა, ვინაიდან დასავლეთი უმალ გამოძებნიდა სხვა საბაბს ვითარების დასაძაბად.

**დავუშვათ, საქართველომ მოაგვარა მის წინაშე მდგარი საკითხები და გამზადდა ნატოში შესასვლელად, შეყვება იქ აფხაზეთ-სამხრეთოსეთი? ძნელად დასაჯერებელია. განდგომილთა გარეშე შესვლა თავისთავად ხომ არ ნიშნავს მათი დამოუკიდებლობის აღიარებას? თუ რუსეთის ხელისუფლებასთან შეხვედრა ნიშნავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, რატომ არ უნდა ნიშნავდეს პირველი კითხვა ამას? რომ იტყვიან — „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები“ ვითარებაა შექმნილი, რომლიდანაც გამოსვლა არც ერთ მთავრობას არ აწყობს, მაგრამ საქართველოს?**

საქართველო მოითმენს. მას მომავალი წლის ოქტომბერში გაიხსენებენ — საპრეზიდენტო არჩევნების დროს, შემდეგ, მოგვიანებით — საპარლამენტო არჩევნებისას. და ამ შუალედში უხვად იტყვიან — „ქართველი ხალხის კატეგორიულ არჩევანზე — ნატოო“. არადა, 2008 წელს ხალხს ნატოს თემა ერთ ადგილას ეკიდა. მისთვის მთავარი იყო სააკაშვილის ჩამოშორება. არ გაუმართლა — სააკაშვილიც ვერ მოიშორა და ნატოც აიკიდა, უფრო სწორად —ააკიდებინეს.

**მაინც ვინ მოიფიქრა პრეზიდენტის არჩევნების საკითხთან, ნატოში შესვლის თემის მიტმასნება? ცხადია, დასავლეთმა, ვინაიდან სააკაშვილის არარჩევის შემთხვევაში, დასავლეთი — ქართველი ხალხის „სურვილს“ მაინც მიიღებდა ნატოში შესვლის სახით. 2008 წლის იანვარში დასავლეთმა ორივე მოიგო — სააკაშვილის პრეზიდენტობაც და ქართველი ხალხის ნატოში შესვლის „სურვილიც“.**

დასავლეთი დღესაც იგებს — მისთვის ლოიალური ხელისუფლების მოსვლით და ამ ხელისუფლების ევროატლანტიკური სივრცისკენ თავქუდმოგლეჯილი სწრაფვით. საქართველო? საქართველო დაიცდის, ანდა, კაცმა რომ თქვას, სად ეჩქარება? ნატოში შესვლა მას უდავოდ არ აჩქარებს. რაც აჩქარებდა — ტარიფების შემცირება, სხვა უამრავი წვრილმანი საკითხის (წვრილმანებისგან შედგება ჩვენი ცხოვრება) მოგვარება იყო, რომლის საპასუხოდ ცივი შხაპი მიიღო — „არაო“, „ვერაო“, — უთხრეს მას.

საზოგადოებას არც გაეროს კენჭისყრა ადარდებდა — ერთი ამბავი რომ ატყდა მედიაში. ბუნტის ამტეხნი ნაცები იყვნენ — ეს როგორ შეიძლებაო, ახალი ხელისუფლების მიერ დაშვებული უხეში შეცდომააო, — გაისმოდა მათი მხრიდან. გახსოვთ, ალბათ, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე პალესტინის საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული კენჭისყრა და პალესტინისთვის საქართველოს მხარდაჭერა.

ერთი შეხედვით, თითქოს ცუდი ამაში არაფერია, ან რა უნდა იყოს ცუდი, როდესაც გაეროს 193 წევრი სახელმწიფოსგან, 160-ზე მეტი მხარს უჭერს პალესტინას. ვინც მხარს არ უჭერს - 9 სახელმწიფოა, მათ შორის — აშშ-ი და ისრაელი. ნაცთა განცხადებით, საქართველოს მხარი უნდა დაეჭირა ამერიკა-ისრაელისთვის, როგორც სტრატეგიული პარტნიორებისთვის. და მართლაც, როდესაც გადაწყვიტე ამერიკაზე მიბმა, სხვაგვარად უნდა მოიქცე.

საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის, ვინც მეტ-ნაკლებად ჩახედულია პალესტინა-ისრაელის ისტორიაში (ასეთები თითებზე ჩამოსათვლელია), უცნაური აღმოჩნდა ქართული მხარის გადაწყვეტილება, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებდა საგარეო უწყების მაღალრანგოსანთა ბუნდოვანი განმარტება, რომ საქართველომ კენჭისყრამდე კონსულტაციები გამართა ამერიკელ და ებრაელ დიპლომატებთან.

პალესტინელთა სამართლიანი საქმისთვის მხარის დაჭერა ნამდვილად არ არის საძრახი საქმე, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება რომ პროამერიკულია? ოპონენტები გაჰკიოდნენ — საგარეო უწყებამ მხარი „ჰამასს“ დაუჭირა, რომელმაც აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობაო. კეთილი, მაგრამ „ჰამასი“ პოლიტიკური ორგანიზაციაა და არა პალესტინა. „ჰამასი“ ღაზის სექტორშია და არა დასავლეთ სანაპიროზე, ანუ იქ, სადაც პალესტინის მთავრობაა. „ჰამასი“ ის ორგანიზაციაა, რომელსაც აშშ ტერორისტულად თვლის და ცდილობს მის წინააღმდეგ ყველა ღონის გამოყენებას.

ოპონენტთა მიერ ახალი ხელისუფლების კრიტიკა ერთ მთავარ მიზანს ემსახურებოდა — ამერიკისთვის იმის თქმას, რომ ივანიშვილი სანდო არ არის, რომ მისი პოლიტიკა პროდასავლური კი არა პროირანულ-პრორუსულია.

ნაცთა კრიტიკას ჰქონდა საფუძველი და ამ საფუძვლის შესაქმნელად, როგორც ჩანს, ბევრი იღონეს მათ. პალესტინისთვის მხარის დასაჭერად გარკვეული ნაბიჯები გადადგეს საგარეო უწყებისა და მის გაეროს წარმომადგენლობაში მომუშავე ნაცური დიპლომატიის წარმომადგენლებმა, რომლებმაც შესანიშნავად გამოიყენეს გამოუცდელი მინისტრის „ცოდნა“ ახლო აღმოსავლეთის საკითხებში და ისეთი ფინტი ჩაატარეს, უკეთესს რომ ვერ ინატრებდა სეირის მაყურებელი. ესეც თქვენი კოჰაბიტაცია ქართულად. ფინტს კი მოჰყვა ნაცთა კოკისპირული კრიტიკა — ეს რა გააკეთესო!

ახალი ხელისუფლების გაშავებას ემსახურებოდა სააკაშვილის ვიზიტი პოლონეთში. ხელისუფლების წარმომადგენლებთან და პოლონეთის საზოგადოებასთან შეხვედრების დროს სააკაშვილმა აღნიშნა იმ ალმშენებლობის შესახებ, რაც მისი მმართველობის დროს იყო: წინსვლა ეკონომიკაში, წინსვლა დემოკრატიის მშენებლობაში, წარმატებები არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარებაში და ხელისუფლების დემოკრატიულად გადაცემაში.

არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება ფართოდ აღინიშნა ევროატლანტიკური ქვეყნების პოლიტიკოსთა მიერ. ამის შესახებ კიდევ ერთხელ თქვა რასმუსენმაც. თუმცა, არჩევნებამდე მანვე განაცხადა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას.

არჩევნები 1 ოქტომბერს გაიმართა, ნატო კი არსად ჩანს, და რომ არ ჩანს, ივანიშვილს ბრალდება.

ახლა, რაც შეეხება განვლილი არჩევნების დემოკრატიულობას. არჩევნები მარტო ერთი დღე არ არის. არჩევნებს წინ უძღვის წინასაარჩევნო მარათონი, რომელიც, რასმუსენის სამწუხაროდ, ვერაფრით შეფასდება დემოკრატიულად.

წინასაარჩევნო მარათონის დროს ხელისუფალთა მიერ ჩადენილი დანაშაულებანი მხოლოდ დიქტატორული მმართველობის სადარია.

**დემოკრატიულ არჩევნებში ყველაფერი იგულისხმება — არჩევნების დღეც და არჩევნების მზადების პერიოდიც. მარტო ერთი დღით არჩევნების „დემოკრატიულად“ ცნობა — თვალში ნაცრის შეყრაა და მეტი არაფერი.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ხელისუფლებასთან სიახლოვე ინდულგენცია არ იქნებაო!

## „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ მესვეურებს კანონის წინაშე მოუწევთ პასუხისგება






**„ცენტრ პოინტის“ საქმე ყველაზე დიდი სამშენებლო სკანდალია, რომელშიც ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები, ათასობით დაზარალებული კლიენტი და მილიონობით გაფლანგული თანხა ფიგურირებს. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ახალი ხელისუფლება დაინტერესდეს აღნიშნული საქმით და დაიწყოს მისი სიღრმისეული და დეტალური გამოძიება“, — ნათქვამია „ცენტრ-პოინტის“ საქმესთან დაკავშირებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის დასკვნაში.**

„ცენტრ პოინტი ჯგუფი“ არის 70 სხვადასხვა კომპანიის გაერთიანება, რომლებიც საქართველოში ყველაზე დიდ სამშენებლო სკანდალში მონაწილეობდა. ის დააარსეს ყოფილმა პარლამენტარებმა ვახტანგ რჩეულიშვილმა და რუსუდან კერვალიშვილმა, რომლებიც, ასევე, ფლობენ ამ ჯგუფში შემავალ კომპანიებს. კვლევის თანახმად, დახვეწილი სქემის მეშვეობით „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ ათასობით კლიენტი დაარწმუნა, შეესყიდათ ჯერ კიდევ არაშენებული ბინები, შემდეგ კი მათ მიერ მშენებლობაში გადახდილი 310 მილიონი აშშ დოლარი არამიზნობრივად გამოიყენა. შედეგად, თითქმის, 6 200-მა ოჯახმა (დაახლოებით 30 000 ადამიანი) დაკარგა თავის მიერ გადახდილი თანხები და, ასევე, ბინები, რომელთა უმეტესობაც ჯერ კიდევ აუშენებელი ან დაუსრულებულია.

**„ამასთან, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებლების სტატუსი და კავშირები წინა მთავრობაში, რომელიც გამყარებული იყო მსხვილი შემოწირულობებით იმ დროისთვის მმართველ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიაში, ბადებს ეჭვს, რომ ეს კავშირები მათ დაეხმარა, თავიდან აეცილებინათ პირადი პასუხისმგებლობა კლიენტებისთვის მიყენებული ზარალისთვის“,** — აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოში“.

2005-2007 წლებში „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ საქართველოში უმსხვილეს სამშენებლო პროექტებს ახორციელებდა, რომლებიც ადგილობრივ მედიაში აქტიურად შუქდებოდა, თუმცა, 2008 წელს გამოაშკარავდა „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ ფინანსური პრობლემები, რამაც კომპანიას მნიშვნელოვანი ზარალი მოუტანა და ბევრი მისი მიმდინარე პროექტი შეაჩერა.

პრობლემის გადასაჭრელად, 2010 წლის სექტემბერში „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ საკუთარი ქონებისა და შეჩერებული პროექტების მართვა მაშინ ახლადშექმნილ კომპანია „დექსუსს“ გადასცა და პირობა დადო, რომ უკანასკნელის მეშვეობით კლიენტებისადმი ნაკისრ ვალდებულებებს მომდევნო სამი წლის განმავლობაში შეასრულებდა. თუმცა, „დექსუსმა“ კლიენტებს საგრძნობლად დაუმძიმა მდგომარეობა და მხოლოდ შენობების კედლების მშენებლობის ვალდებულებით შემოიფარგლა, ხოლო მშენებლობის დასრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ხარჯების დაფარვა თავად დაზარალებულ კლიენტებს დააკისრა. გარდა ამისა, დასრულებულ ბინებზე საკუთრების რეგისტრაციისთვის „დექსუსმა“ კლიენტებს დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) გადახდა მოსთხოვა, რაც თითოეული ბინის საერთო ღირებულების 18 პროცენტია. ამის გამო ათობით დაზარალებულმა ოჯახმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რითაც ითხოვდნენ „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებების გაუქმებას, დაუსრულებელ ბინებზე საკუთრების რეგისტრაციას, გადახდილი ფულის უკან დაბრუნებასა და ზარალის შესაბამის კომპენსაციას. ამასთან, ისინი „დექსუსისგან“ ითხოვდნენ, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ თავდაპირველი ხელშეკრულებების პირობები ამ პირობების გაუარესების გარეშე შეესრულებინა.

გურამ ზარნაძე ერთ-ერთი ასეთი დაზარალებულია. 2005 წელს მან შეიტყო, რომ თბილისში, ხოშარაულის ქ. 29-ში, „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ განვადებით ყიდდა ჯერ კიდევ არაშენებულ ბინებს და გადაწყვიტა თავადაც შეეძინა ერთი ბინა. ზარნაძემ 43 000 აშშ დოლარი გადაიხადა 105 კვადრატულმეტრიან ბინაში, რომლის მშენებლობა ხელშეკრეულების მიხედვით სამ წელიწადში, 2008 წლის თებერვალში, უნდა დასრულებულიყო, თუმცა შპს „ცენტრ პოინტ სიტიმ“, რომელიც პასუხისმგებელი იყო სამშენებლო სამუშაოებზე ხოშარაულის ქუჩა 29-ში, მშენებლობის პროცესი შეაჩერა.

„ცენტრ პოინტი ჯგუფის“ კიდევ ერთი დაზარალებულია დარეჯან ბარბაქაძე. 2006 წლის ნოემბერში ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირზე ასაშენებელი ბინის საფასურად მან 36 000 აშშ დოლარი გადაიხადა. ორი წლის შემდეგ, როდესაც ნახა, რომ ბინის მშენებლობის პროცესში წინსვლა არ იყო, ბარბაქაძემ პასუხისმგებელ კომპანიას, ამხანაგობა „ღრმაღელეს“ მოსთხოვა მისთვის ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის გამოყოფა სხვა ადგილას. იმ დაპირებით, რომ მას მისცემდნენ უფრო დიდ ბინას ქ. თბილისში მდებარე სხვა მშენებარე კორპუსში, კერძოდ გელოვანის გამზირზე, დარეჯან ბარბაქაძეს ამხანაგობა „ღრმაღელემ“ დამატებით 29 000 აშშ დოლარი გადაახდევინა. თუმცა, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, სამშენებლო სამუშაოები გელოვანის გამზირზეც შეჩერდა და ბარბაქაძე უბინაოდ დარჩა.

**„2010 წლის 10 სექტემბერს, მაია და ვახტანგ რჩეულიშვილებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ ვერ შეძლებდა მძიმე ფინანსური კრიზისიდან გამოსვლას გარე ჩარევის გარეშე. ამიტომ, მათ „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ კომპანიებისა და სამშენებლო პროექტების მმართველობის უფლება კომპანია „დექსუსს“ გადასცეს. „დექსუსი“ 2010 წლის 23 აგვისტოს დაფუძნდა, რჩეულიშვილების ზემოხსენებულ განცხადებამდე ორი კვირით ადრე. ოფიციალური სარეგისტრაციო მონაცემების თანახმად, კომპანიის საწყისი კაპიტალი მხოლოდ 100 ლარს შეადგენდა და მას სამი დამფუძნებელი ჰყავდა: გიორგი ქანანაშვილი, ირაკლი კილაურიძე და ივანე ცაგურია. „დექსუსის“ ვებგვერდზე არსებული ინფორმაციით კომპანიას მაღალკვალიფიციური მმართველები ჰყავს, რომლებსაც უძრავი ქონების მართვის ცნობილ ქართულ კომპანიებში მუშაობის სათანადო გამოცდილება აქვთ.**

**„ცენტრ პოინტი ჯგუფსა“ და „დექსუსს“ შორის 2010 წლის 7 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, უკანასკნელი ვალდებულებას იღებდა, დაესრულებინა ყველა შეჩერებული სამშენებლო პროექტი მომდევნო სამი წლის განმავლობაში. ამავე დროს, „დექსუსის“ დამფუძნებელი და დირექტორი, გიორგი ქანანაშვილი ირწმუნებოდა, რომ კომპანიას ჰქონდა ყველა შესაბამისი რესურსი მშენებლობების დასასრულებლად და საჭირო იყო მხოლოდ კლიენტებთან ახალი ხელშეკრულებების გაფორმება. ამ განცხადებას მხარს უმაგრებდა რამდენიმე მედიასაშუალებით გავრცელებული ანგარიში, რომლის მიხედვითაც „დექსუსმა“ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში 350 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია მოიზიდა ისეთი დონორებისგან, როგორებიც არიან მსოფლიო ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი“,** — ნათქვამია კვლევის ანგარიშში.

აქვე ვკითხულობთ, რომ 2013 წლისთვის ყველა შეჩერებული პროექტის დასრულების ვალდებულების აღების პარალელურად „დექსუსმა“ „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ თავდაპირველი ხელშეკრულებების პირობები კლიენტების მდგომარეობის საზიანოდ შეცვალა. კერძოდ, თავდაპირველი ხელშეკრულებების თანახმად, კლიენტი კომპენსაციას მიიღებდა იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო კომპანია ვერ უზრუნველყოფდა მას ბინით ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშენებლობის დასრულების ვადიდან ექვსი თვის განმავლობაში. კომპენსაცია ყოველი დაგვიანებული თვისთვის იქნებოდა კლიენტის მიერ იმ დროისთვის ბინის მთლიანი ღირებულების გადახდილი თანხის 0.2%, თუმცა, კომპანია თავისუფლდებოდა კომპენსაციის გადახდისგან, მას შემდეგ, რაც მისი ოდენობა ბინის საერთო ღირებულების 10%-ს მიაღწევდა.

„დექსუსმა“ კლიენტებს დღგ-ს გადახდა მოსთხოვა, რაც თითოეული ასაშენებელი ბინის საერთო ღირებულების 18 პროცენტია. გარდა ამისა, კომპანიამ უარი განაცხადა შიდა სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე, როგორიც არის ახალი შენობების კედლების გაჯით გალესვა, რაც ეწინააღმდეგება „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ იმ თავდაპირველ პირობებს, რომელსაც კლიენტები დათანხმდნენ. „დექსუსის“ დამფუძნებლის ქანანაშვილის თქმით, ერთობლიობაში 2 მილიონი კვადრატული მეტრის კედლების გაჯით გალესვა „დექსუსისთვის“ ლოჯისტიკურად რთული ამოცანაა მაშინ, როდესაც კლიენტებისთვის აღნიშნული სამუშაოების ცალკე წარმოება თავიანთ ბინებში არ იქნება ძალიან ძვირი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ კვლევის ანგარიშში, ასევე „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ მესვეურების მიერ თანხების არამიზნობრივად ხარჯვის მაგალითებიც არის მოყვანილი. მაგალითად, კომპანიის შვილობილ ამხანაგობა „ღრმაღელეს“ მისმა კლიენტებმა 6.29 მლნ დოლარი გადაუხადეს, მაგრამ ვერ მოხერხდა იმის დადგენა, აქედან რამდენი მოხმარდა მშენებლობას, რადგან გურამიშვილის №64-ში არსებულ 6 300 კვ მეტრ ფართობზე მხოლოდ ორი სართულის კარკასია აშენებული და ეს ამხანაგობა „ღრმაღელეს“ ერთადერთი ქონებაა.

„ღრმაღელეს“ შემთხვევისაგან განსხვავებით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ მოახერხა კიდევ ერთი პრობლემური პროექტის, „ჯიქიას“ საქმეზე აუცილებელი დოკუმენტაციის მოძიება, რომელიც ამტკიცებს, რომ კლიენტების მიერ ბინების მშენებლობისათვის გადახდილი თანხა (6.84 მილიონი ლარი) არამიზნობრივად გაიხარჯა შპს „ჯიქიას“ მფლობელმა მაია რჩეულიშვილმა. ამის შედეგად, 165 ოჯახი დაპირებული ბინების გარეშე დარჩა. როგორც აღმოჩნდა, მაია რჩეულიშვილმა შპს „ჯიქიას“ თანხების მნიშვნელოვანი ოდენობა (3.28 მილიონი ლარი) თავის სასარგებლოდ გამოიყენა. კერძოდ, 2009 წლის 6 იანვარს, როდესაც ცხადი გახდა, რომ ჯიქიას უბანზე სამშენებლო სამუშაოები გრაფიკს ჩამორჩებოდა, რჩეულიშვილმა შპს „ჯიქიას“ ანგარიშიდან 1.38 მილიონი ლარი გაიტანა. ერთი თვის შემდეგ, რჩეულიშვილის გადაწყვეტილებით, შპს „ჯიქიამ“ 1.9 მილიონ ლარად შპს „წყნეთი ჰაუსი“ შეიძინა. კვლევის თანახმად, მთლიანობაში მაია რჩეულიშვილმა კომპანიის („ჯიქიას“) თანხებიდან 3.7 მილიონი ლარი თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენა, რითაც კლიენტებს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. ეს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ მხოლოდ ერთი შვილობილი კომპანიის საქმეა. საერთო ჯამში კი საუბარია მილიონობით ლარის არამიზნობრივ ხარჯვაზე.

„ცენტრ პოინტი ჯგუფის“ კლიენტები მოითხოვენ, რომ კომპანიის მფლობელებმა მათ კომპენსაცია პირადი ქონებიდან გადაუხადონ, მაგრამ რუსუდან კერვალიშვილის განცხადებით, ის და მისი დის ოჯახი არ ფლობენ არანაირ სხვა ქონებას, გარდა იმ ქონებისა, რომელსაც ამჟამად „დექსუსი“ მართავს. თუმცა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ კვლევაში რუსუდან კერვალიშვილისა და ვახტანგ რჩეულიშვილის ქონებრივ დეკლარაციებზეა საუბარი, რომელთა მიხედვით, ისინი, როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ძვირფასი ნივთების სახით, საკმაოდ სოლიდურ ქონებას ფლობენ. **კვლევაში, ასევე, მოყვანილია ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის მაგალითი, რომლის დამფუძნებელსაც შეუსრულებელი ვალდებულებების გამო ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა და მას 800 000 ლარს ედავებოდნენ. „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ შემთხვევაში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მილიონობით არამიზნობრივად გახარჯულ თანხებზეა საუბარი და, მიუხედავად ამისა, მისი მესვეურების პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა, რადგან ისინი წინა ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები იყვნენ და გარკვეულ პერიოდში, საკანონმდებლო ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებზეც მუშაობდნენ. კერძოდ, ვახტანგ რჩეულიშვილი და რუსუდან კერვალიშვილი 1994-2004 და 2008-2012 წლების საქართველოს პარლამენტის წევრები და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები იყვნენ.**

დაბოლოს, როგორც ცნობილია, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლების შეცვლის შედეგად, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ საქმის გამოძიება ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა. კერძოდ, 2012 წლის 7 ნოემბერს ახალი მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაზარალებულ კლიენტებს შეხვდა და დაპირდა მათ, რომ მათი საქმის შესასწავლად სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი შეიქმნება და ყველა დამნაშავე კანონის შესაბამისად აგებს პასუხს.

**ნინო ჟღენტი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

განათლება

# საჭიროა გონივრული ურთიერთობის დამყარება



## მოსაზრებანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო სისტემის რაციონალიზაციის თაობაზე

**რაც დრო გადის, ადამიანის მიერ მოპოვებული ცოდნის მოცულობა სულ უფრო სწრაფად იზრდება. თუ ადრე მის გაორკეცებას ათასწლეულები, ხოლო შემდეგ ასწლეულები სჭირდებოდა, ბოლო ხანებში ამისთვის ათწლეულებიც საკმარისია.**

**ადამიანის მიერ ცოდნის ათვისების ფიზიკური შესაძლებლობები კი მკაცრად განსაზღვრულია. ამიტომ ცოდნის მოპოვებასა და სწავლებას შორის გონივრული ურთიერთობის დამყარების ამოცანა სულ უფრო აქტუალური ხდება.**

**ამ ამოცანის მთლიანად და საბოლოოდ გადაჭრას ვერც ერთი სახელმწიფო ვერ დაიტრაბახებს. პრობლემა გლობალური და მარადიულია. ამიტომ ის ამა თუ იმ ფორმითა და სიმწვავით ყოველთვის იარსებებს.**

ამ პრობლემის გადაჭრა ჩვენმა „რეფორმატორებმა" აკადემიური ინსტიტუტების ერთი ნაწილის გაუქმებით, მეორე ნაწილის უნივერსიტეტებისადმი ადმინისტრაციული დაქვემდებარებით, შტატების მკვეთრი შემცირებითა და საუნივერსიტეტო კათედრების გაუქმებით სცადეს. შედეგად მივიღეთ აბსურდული ვითარება, რამაც, ფაქტობრივად, სამეცნიერო და სასწავლო პროცესების სრული კოლაფსი გამოიწვია. სოკოებივით მომრავლებულ კერძო სასწავლო დაწესებულებათა უმრავლესობაში კი თითქმის არავითარი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა არ მიმდინარეობს.

**მაშ სად არის გამოსავალი?**

ჩვენს საზოგადოებაში ამ საკითხზე ორი უკიდურესი მოსაზრება არსებობს. ერთნი ძველი მდგომარეობის მთლიანად აღდგენას, მეორენი კი სამეცნიერო მუშაობის მთლიანად უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში თავმოყრას მოითხოვენ. ჩემი აზრით, არსებობს მესამე გზაც, რომელიც უკვე დასახელებული გზების რაციონალურ სინთეზს დაემყარება.

ამისათვის საკმარისია სასწავლო დაწესებულებებში არა მარტო კათედრების აღდგენა, არამედ, აგრეთვე, ფუნდამენტურ მეცნიერებათა საინფორმაციო ცენტრების შექმნა. მათი ძირითადი ამოცანა და დანიშნულება იქნება ეროვნული და მსოფლიო მეცნიერებათა უკანასკნელი მიღწევების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და შესაბამისი კათედრებისათვის მიწოდება. ამით კათედრებს საშუალება მიეცემათ, ერთი მხრივ, მინიმუმამდე შეამცირონ მეცნიერებასა და მის სწავლებას შორის არსებული დრო, ხოლო, მეორე მხრივ, მაქსიმალურად გაზარდონ მოთხოვნები ლექტორ-მასწავლებლების ყოველწლიური სამეცნიერო ნაშრომებისადმი, რაც მათი კვალიფიკაციის ამაღლების ქმედით საშუალებად იქცევა.

რაც შეეხება სწავლებას, საჭიროა მისი მეთოდიკის შემუშავება, რომელიც აქცენტს აკეთებს არა ცოდნის ოდენობაზე, არამედ მის ხარისხზე, უწინარესად კი ამ გზით მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

მძიმე მდგომარეობაა საშუალო განათლების სისტემაშიც.

ეროვნული მისაღები გამოცდების შემოღების შემდეგ საგრძნობლად შეიბღალა საშუალო სკოლის პრესტიჟი, რადგან გაუქმდა ან გაუფასურდა გამოსაშვები გამოცდები.

ვითარება კვლავ უფრო დაამძიმა იმან, რომ სკოლას უკლებლივ ყველა მოწაფის ბოლომდე შენარჩუნება და გამოშვება დაევალა. ამით სკოლამ დაკარგა სასწავლო პროცესის ინტენსივობის უზრუნველყოფის მთავარი ბერკეტი, კერძოდ, ცოდნის დაუფლებით მოსწავლის დაინტერესების ქმედითი საშუალება. ძალიან უარყოფითი მოვლენაა ე.წ. ტექნიკუმების თითქმის სრული ლიკვიდაცია. და ეს ხდება მაშინ, როცა თითქმის ყველა ქვეყანაში ასეთ დარგობრივ-სპეციალიზებულ ტექნიკუმებში უმაღლესი სკოლის სტუდენტებზე გაცილებით მეტი მოსწავლე ირიცხება. სწორედ ისინი ამზადებენ საშუალო რგოლის ტექნიკოსთა იმ კადრებს, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ, როგორც სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში, ისე მომსახურების სფეროში.

სადავოდ მიმაჩნია თანამედროვე საქართველოში თორმეტწლიანი სკოლის მიზანშეწონილობაც. თუ მისი შენარჩუნება მაინც და მაინც აუცილებელია, მაშინ ის უნდა გადაკეთდეს მოსამზადებელ კლასად, რომელშიც მხოლოდ იმ საგნებს ასწავლიან, რომელთა ჩაბარებას სათანადო უმაღლესი სასწავლებელი მოითხოვს.

რაც შეეხება სკოლის მასწავლებელთა უმძიმესი და ურთულესი შრომის მატერიალური ანაზღაურების არსებულ დონეს, იგი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ვერც ერთ უცხოელს ვერ დააჯერებთ, რომ დედამიწაზე არსებობს ქვეყანა, სადაც მასწავლებელი ნაკლებ ხელფასს იღებს, ვიდრე ქალაქის სანიტარიული მომსახურების რიგითი მუშაკი, ხოლო უბრალო „ჩინოვნიკის" ხელფასი მასწავლებლისას ათეულჯერ აღემატება. ალბათ, გასათვალისწინებელია მსოფლიოს გამოჩენილ ეკონომისტთა დასკვნა იმის თაობაზე, რომ თვით ხუთჯერადი განსხვავებაც კი საზოგადოებისთვის მიუღებელია.

ასეთ ნაკლოვანებათა ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ალბათ, უკეთესი იქნება, რომ მათ გამომწვევ საერთო მიზეზებზე ვიმსჯელოთ.

მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, პრობლემისადმი არასწორი მიდგომაა.

როგორც ცნობილია, სწავლების პროცესი ყველგან და ყოველთვის წააგავდა და წააგავს ზიარ ჭურჭელს, რომელშიც სითხე მაღალი დონიდან დაბალში გადადის. ყველგან და ყოველთვის სასწავლო პროცესის ცენტრალური ფიგურა იყო და არის მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეებს ახალ ინფორმაციას აწვდიდა და აწვდის. ჩვენმა „რეფორმატორებმა" კი მთავარ ფიგურად მოსწავლე გამოაცხადეს, რადგან მას სკოლიდან ვერავინ გარიცხავს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის თორმეტი წლის განმავლობაში არც ერთ გაკვეთილს არ ისწავლის. საშუალო განათლების „საყოველთაობის" ეს პრინციპი, ცხადია, საბჭოური ეპოქიდან მოდის, მაგრამ მას, უცვლელად შენარჩუნების ნაცვლად, კრიტიკულ-რაციონალური შეცვლა სჭირდება.

იგივე ითქმის საშუალო და უმაღლეს სკოლაში მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავების შესახებ. ის ფაქტი, რომ ამ პრობლემას საგანმანათლებლო სისტემის მიმდინარე რეფორმამ სერიოზული ადგილი დაუთმო, მისასალმებელია. მაგრამ მისი განხორციელების დასახული გზა და საშუალება სერიოზულ კრიტიკას იმსახურებს. მხედველობაში მაქვს ამ უნარ-ჩვევების სასწავლო დისციპლინებიდან ხელოვნურად ამოგლეჯა და დამოუკიდებელ სასწავლო საგნად გადაქცევა. სინამდვილეში კი ყოველი ძირითადი სასწავლო დისციპლინა (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ისტორია, ლიტერატურა და სხვა) საკუთარი სპეციფიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას მოითხოვს. მათი უსაგნო, განყენებული და ხელოვნურად განზოგადებული სწავლება კი ნაკლებ ეფექტურია.

მიუხედავად ხანგრძლივი სამეცნიერო-კვლევითი, სასკოლო და საუნივერსიტეტო გამოცდილებისა, ავტორს თავისი დებულებები და დასკვნები აუცილებელ ჭეშმარიტებებად არ მიაჩნია და მათ მხოლოდ საკითხის დაყენების მიზნით აქვეყნებს.

**ფარნაოზ ლომაშვილი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

საბანკო სექტორი

# სესხების სიიაფეზე გამავალი კეთილდღეობის გზა

**ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ძვრები ეროვნული ეკონომიკის უკლებლივ ყველა სფეროზე რომ აისახება, ეს სავსებით ლოგიკური შედეგია. ამ მხრივ გამონაკლისი, ცხადია, არც საბანკო სფეროა, რომლის მიმართ საქართველოს მოსახლეობაში, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებაა, რისი მიზეზები ასევე კარგადაა ცნობილი. ეს, უწინარესად, მაღალი საპროცენტო განაკვეთია, კრედიტების ნაკლებად მისაწვდომობა, იპოთეკური სესხების წყალობით უსახლკაროდ დარჩენილ ხალხის გასაჭირი, უგზოუკვლოდ დაკარგული დანაზოგები, ფარატინა ქაღალდებად ქცეული ობლიგაციები და სხვ.**

საქართველოში საბანკო კანონმდებლობა ისეა შედგენილი, რომ ბანკებს, ფაქტობრივად, შეუზღუდავი ძალაუფლება აქვთ, ამასთან მათთან ურთიერთობისას მოსახლეობა ამ საკითხში საკუთარი უმეცრობის გამო უფროა დაჩაგრული, რასაც ბანკირები მეტად მოხერხებულად და სრულიად მოურიდებლად იყენებენ. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ის საქველმოქმედო აქციები, რომლებსაც ბანკები შიგადაშიგ მართავენ, იმ მოგების უმცირესი ნაწილია, რომელსაც ისინი ნახულობენ, თუმცა კი ამ მცირედის გამოც მადლობა ეკუთვნით.

მოსახლეობასთან ფინანსურ ურთიერთობებში კომბანკების მიერ საქმის რკინის ხელით წარმართვა და კლიენტის მეტად არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენების საშუალებას, როგორც ზემოთ ვთქვი, ბანკირებს მოქმედი კანონმდებლობა აძლევს, რომლის გადახალისების აუცილებლობაზე თავად საბანკო წრეებშიც დიდი ხანია ლაპარაკობენ.

დღესდღეობით საქართველოში **საშუალო შეწონილი განაკვეთი ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე 21-22 პროცენტია, უცხოური ვალუტით გაცემულ კრედიტებზე კი – 15-17 პროცენტი.** ფინანსური სახსრების სიძვირე, რასაც, სხვათა შორის, მსოფლიო ბანკის ექსპერტებიც აღნიშნავენ, სხვასთან ერთად **რისკის პრემიის** მაჩვენებელი განაპირობებს – ბანკირებს, მოგეხსენებათ, კარგი ცხოვრება უყვართ. იმავე მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ეს **მაჩვენებელი საშუალოდ 15 პროცენტია,** რაც აშკარად არასამართლიანია, თუმცა, ქვეყნის ეკონომიკა, წინა ხელისუფლების მტკიცების საპირისპიროდ, არა „მდგრადი" და „განვითარებადი", არამედ „მერყევი" და ერთგვარად „რეგრესიულიცაა". ამის დადასტურება, სამწუხაროდ, ძნელი არ არის: როცა ქვეყანაში ექსპორტის ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია



შავი და ფერადი ლითონების ჯართია, რომლის გატანა წლიდან წლამდე (ბოლო 20 წლის მანძილზე!) იზრდებოდა და შარშან რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია, ეკონომიკურ აღმავლობაზე ლაპარაკი, სხვა თუ არაფერი, სირცხვილია.

ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობის არასტაბილურობისა და ხშირად გასათვალისწინებლად პრაქტიკულად შეუძლებელი რისკების არსებობის პირობებში, ბანკების პრემიების დონე მაინც გადაჭარბებულად მაღალია, თუმცა კი სხვა ფინანსური წყაროების სიმწირის გამო (ვთქვათ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სხვადასხვა სამეწარმეო კავშირებისა და ა.შ.), კრედიტებზე მოთხოვნა დიდია, ამიტომაც ერთი ცნობილი გამოთქმის პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, „მუსიკას ის უკვეთავს, ვინც ფულს იძლევა".

ამასთან აღსანიშნავია, რომ **საპროცენტო განაკვეთების დაწევა, ანუ საბანკო კრედიტების გაიაფება, ასე ვთქვათ, „ძალისმიერად" ხელისუფლების ზეწოლით, ანდა საკანონმდებლო შეზღუდვის შემოღების გზით, შეუძლებელია, ეს პროცესი ბუნებრივად დაიწყება ქვეყანაში რეალური ეკონომიკური წინსვლის პარალელურად.** ამ მოსაზრების გასამყარებლად ექსპერტები ახლო წარსულის მაგალითს ასახელებენ, როცა 2003-07 წლებში, ეკონომიკის „ჩრდილიდან" გამოყვანისა და ლარის გამყარების პირობებში, საპროცენტო განაკვეთები საგრძნობლად შემცირდა.

**ქვეყანაში ნაკლებად ძვირიანი კრედიტების წყაროს ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროს მიგნება, როგორც ჩანს, ძნელი არაა – ესაა კომბანკებში კერძო დანაზოგების აკუმულირება, მეანაბრეების შენატანზე საპროცენტო განაკვეთის გაზრდით მათი წახალისება.** თუმცა კი აქ ერთგვარად მოჩუსხული წრე იკვრება: ქვეყანაში არაკონკურენტიანი სამეწარმეო გარემო ამდენი წელია უკიდურესად ზღუდავს მოსახლეობის ქონებრივად საშუალო შესაძლებლობის შრეს წარმოქმნას, რაც ყველა განვითარებულ თუ განვითარების გზაზე მდგარ სახელმწიფოში მის ხერხემალს წარმოადგენს. საამისოდ კი სასწრაფოდ საჭიროა ქმედითი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღება და მის განსახორციელებლად ძლიერი სამსახურის შექმნა, რა მიმართულებითაც ამჟამად სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს და, იმედია, ახლო მომავალში განხორციელდება კიდეც, რაც, თავის მხრივ, ახალი პოლიტიკური კურსის რეალური დასაყრდენი იქნება.

**ოთარ ტურაბელიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამზობენ ჩვენზე

# ალექსანდრ ლუკაშენკო მზად არის, დადგეს მუხლებზე საქართველოს წინაშე დსთ-ში მისი დაბრუნებისთვის



ალექსანდრ ლუკაშენკომ განაცხადა, რომ მხარს უჭერს საქართველოს მთლიანობას, თანაც რუსეთთან ერთად, და დაუმატა, რომ კრემლი მას აღარ სთავაზობს, აღიაროს სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი. ჩვენი გაზეთის წყარომ თავად სამხრეთი ოსეთის ხელმძღვანელობაში არ გამორიცხა, რომ ასეთი მეთოდებით ლუკაშენკო ცდილობს, შეიტყუოს ბიძინა ივანიშვილი დსთ-ში.

ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ განაცხადა, რომ კრემლი აღარ მოუწოდებს მას აღიაროს სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი. „ჩვენ ეს ფურცელი უკვე გადავშალეთ და მასთან რუსეთის ხელმძღვანელობა აღარ დაბრუნდება“, — თქვა მან, როდესაც სამშაბათს მინსკში ხვდებოდა დსთ-ს, ბალტიის ქვეყნებისა და საქართველოს მთავარი რედაქტორების კლუბის წევრებს.

ბელარუსის პრეზიდენტმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა ყველაზე მთავარი. მისი შეხედულებით, წმინდა ადამიანური თვალსაზრისით, — „ჩვენი აღიარება ან უღიარებლობა ვერაფერს შეიტანდა ამ საქმეში“. მისი აზრით, დღეს რუსეთისთვის ხელსაყრელია, რომ საქართველოს მხარე თავად მოელაპარაკოს ამ რესპუბლიკებს. პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან უკანასკნელი შეხვედრის დროს ამ თემას, ლუკაშენკოს სიტყვებით, არც შეხებიან.

### „რუსეთს მინები ჰყოფნის“

ბელარუსის პრეზიდენტმა ასევე მოუწოდა საქართველოს ხელმძღვანელობას, ყურადღება გაამახვილოს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობებზე. „დღეს თავდაცვის მინისტრების დაჭერა კი არ არის საჭირო, — მაპატიეთ, რომ ამ საქმეში ვერევი, — არც სხვა პოლიტიკოსებისა, არამედ უნდა გადაიჭრას საჭირბოროტო საკითხები. აი, ეს კი ერთ-ერთი მთავარი საკითხია“, — აღნიშნავს იგი.

### „ბატკა“ შევიდა გაურკვევლობის ფაზაში

ლუკაშენკომ ასევე გამოთქვა მზადყოფნა, დადგეს თბილისის წინაშე მუხლებზე, ოღონდ ქართველები დაბრუნდნენ დსთ-ში. „თუ დაიწყება გამაერთიანებელი პროცესი, ჩვენ თქვენს გვერდით ვიქნებით“, — თქვა მან. ამას გარდა, ბელარუსის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სურს, იხილოს საქართველო დსთ-ს შემადგენლობაში: „მე გთხოვდით, შეხვიდეთ დსთ-ში, თქვენ არაფერს დაკარგავთ, რუსეთიც მხოლოდ თანახმა იქნება“.

„აი, პირველი იანვრიდან ჩვენ ვიქნებით დსთ-ში თავმჯდომარე, ჩვენ თქვენ (საქართველოს) გელოდებით. მე მოვალ თქვენთან, დავდგები თქვენს წინაშე მუხლებზე, თუმცა არა საჯაროდ... მაგრამ, თუ გსურთ, საჯაროდაც ამის გულისთვის, და გთხოვდით, თქვენ დაბრუნდეთ დსთ-ში, — დაუმატა მან. — უნდა დაბრუნდეთ, და ჩვენ იქ მოვნახავთ გადაწყვეტილებას ყველა საკითხისა. თუ, რასაკვირველია, საქართველოს პოლიტიკოსები ამას მოინდომებენ“.

სამშაბათს ცნობილი გახდა, რომ მას შემდეგ, რაც თბილისში ხელისუფლებაში მოვიდა ბიძინა ივანიშვილის გუნდი, რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენელთა პირველი შეხვედრა გაიმართება ჟენევაში 13 ან 14 დეკემბერს. ამის შესახებ ჩვენს გაზეთს განუცხადა წყარომ საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში.

რუსეთს წარმოადგენს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი, საქართველოს — პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე. შეხვედრას ტექნიკური ხასიათი ექნება და მიეძღვნება ასეთი შეხვედრების, თემატიკისა და პერიოდულობის ფორმატის დაზუსტებას. მხარეებმა უკვე აღნიშნეს შეხვედრის გამართვის პოზიტიური მომენტი თავად ამ ფაქტში.

### საქართველოს „ბლითი“ უჩვენეს

ლუკაშენკოს განცხადებამ გაურკვევლობა გამოიწვია სოხუმსა და ცხინვალში. აფხაზმა პოლიტოლოგმა, ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორმა ბესლან კობახიამ ამასთან დაკავშირებით თავისი მწუხარება გამოთქვა.

„აფხაზეთმა აირჩია თავისი გზა — თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზა. ჩვენ არ ვართ საქართველოსთან ურთიერთობათა ნორმალიზაციის წინააღმდეგი, — უთხრა კობახიამ ჩვენს გაზეთს. — სხვა საკითხია, რა საფუძველზე, იმაზე, რასაც ლუკაშენკო გვთავაზობს, შეუძლებელია, ვინაიდან არის ახალი რეალობანი, ბევრი რამ ნეგატიური მოხდა ჩვენს ხალხებს შორის უკანასკნელ წლებში: ომი, უამრავი ხალხის მსხვერპლი ორივე მხრიდან“.

პოლიტოლოგის აზრით, ურთიერთობის მოწესრიგებისთვის საქართველომ აუცილებლად უნდა დაგმოს 1992-1994 წლების ომი და აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა. „მხოლოდ მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ ჩვენს ხალხებს შორის ნორმალურ კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეც იქნება“, — თქვა კობახიამ.

თავის მხრივ, სამხრეთი ოსეთის სოციალისტური პარტიის „სამშობლოს“ ლიდერი, რესპუბლიკის პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ვიაჩესლავ გობოზოვი დაეთანხმა ლუკაშენკოს იმაში, რომ მოსკოვი გამოდის საქართველოს მთლიანობის მხარდასაჭერად.

გობოზოვის აზრით, ლუკაშენკოს ერთი რამ არ ესმის — სამიოთხი წლის წინათ ბელარუსის მხრიდან აღიარება შეიძლება ყოფილიყო საინტერესო ამ ორი რესპუბლიკის მცხოვრებლებისთვის. „დღეს ეს აღარ არის აქტუალური, ჩვენ ყველაფერში თავად გავერკვევით, — განაცხადა პარტიის ლიდერმა ჩვენთან საუბარში. — ხოლო, თუ სად სურს, იხილოს მან საქართველო — ეს მისი პირადი აზრია. ლუკაშენკოს ამ სიტყვებს არანაირი სერიოზული პოლიტიკური ეფექტი ჩვენს ქვეყნებს შორის არ ექნება“.

როგორც ეტყობა, ლუკაშენკოს იმედი აქვს, გამოვიდეს შუამავლის როლში საქართველოსა და რუსეთს შორის და ევროკავშირის თვალში დაიმსახუროს მშვიდობისმყოფლის დაფნის გვირგვინი, — გვითხრა წყარომ თიბილოვის ადმინისტრაციაში. — მაგრამ ეს ამაოა, ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოში არ არის ისეთი პოლიტიკური ძალები, რომლებიც მზად იქნებოდნენ, ორიენტაცია აეღოთ მოსკოვზე. ყველა პოლიტიკოსი აცხადებს, რომ მათი მიზანია დასავლეთთან დაახლოება“.

ამავე დროს წყარომ უარყო ვარაუდი იმის შესახებ, რომ ცხინვალი დაეთანხმება, დაბრუნდეს საქართველოს იურისდიქციაში ამ რესპუბლიკის დსთ-ში დაბრუნების შემთხვევაშიც კი.

ВЗГЛЯД ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# საქართველომ უარყო ლუკაშენკოს წინადადება, დაბრუნდეს დსთ-ში

საქართველომ აირჩია თავისი საგარეო-პოლიტიკური კურსი და არ აქვს განზრახული, დაბრუნდეს დსთ-ში, განაცხადა ოთხშაბათს ქვეყნის საგარეო-საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ, როდესაც კომენტარს უკეთებდა ბელარუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს წინადადებას.



„ჩვენ დიდი მადლობელი ვართ პრეზიდენტ ლუკაშენკოსი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების უღიარებლობასთან დაკავშირებით, მაგრამ, სამწუხაროდ, მის წინადადებას საქართველოს დსთ-ში დაბრუნებასთან დაკავშირებით ჩვენ ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან საქართველომ უკვე აირჩია თავისი საგარეო-პოლიტიკური კურსი“, — თქვა ფანჯიკიძემ, გადმოგვცემს „ინტერფაქსი“.

ლუკაშენკომ განაცხადა, რომ მინსკი და მოსკოვი გამოდიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად. „მაგრამ მასთან უნდა მიხვიდე. სააკაშვილის, ივანიშვილის, სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ხელმძღვანელობის პოზიციების გარეშე თქვენ ამ საკითხს ვერ გადაჭრით“, — თქვა ლუკაშენკომ.

ВЗГЛЯД ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# საქართველოში სააკაშვილის პარტიის „დაკრძალვა“ მოაწყვეს

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ „დაკრძალვა“ მოაწყვეს დასავლეთ საქართველოს რეგიონის გურიის მცხოვრებლებმა, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი იუმორით.

პროვინციის დედაქალაქ ოზურგეთის ცენტრში პარლამენტის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში „ნაციონალებმა“ ამოთხარეს უზარმაზარი ორმო აუზისთვის, რომლის მშენებლობაც დამარცხების შემდეგ მიატოვეს.

როგორც „გურიანიუსი“ იტყობინება, ამ ორმოსგან მცხოვრებლებმა გააკეთეს იმპროვიზებული სასაფლაო მასზე წარწერით: „ეროვნული მოძრაობა. 2003-2012“.

„ნაციონალები“ ხელისუფლებაში მოვიდნენ 2003 წელს რევოლუციის გზით.

„მიცვალებულის ფოტოგრაფიის“ ნაცვლად ტრაფარეტზე აწერია ხუთიანი — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ნომერი საარჩევნო ბიულეტენებზე.

ადგილობრივი მცხოვრებლები პირველად როდი აწყობენ სააკაშვილის საწყენ სიურპრიზს — ადრე მათ მისი ფოტოგრაფიები ოზურგეთის ურნებს მიაკრეს.

ВЗГЛЯД ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**ჩავესის მემკვიდრემ ისაუბრა პრეზიდენტის მიერ გადატანილი ექვსსაათიანი ოპერაციის შედეგების შესახებ**

პრეზიდენტი გადის ოპერაციისშემდგომ მკურნალობას ინტენსიური თერაპიის პალატაში. და, როგორც იტყობინებიან, იტანჯება „საშინელი“ ტკივილებისგან. ვიცე-პრეზიდენტმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ ოპერაციის დროს იყო „რთული მომენტები“. ჩავესის მომხრეები შონ პენთან ერთად ლოცულობენ მისთვის, მოწინააღმდეგეები კი აღიარებენ მის განუმეორებელ ქარიზმას.

* * *

**მექსიკის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა მომღერალ ჯენი რივერას დაღუპვის დეტალები ავიაკატასტროფაში: დარტყმა იყო „საშინელი“**



როგორც გაირკვა, მფრინავი ნიგელ პერეს სოტო 78 წლის იყო. ასაკობრივი შეზღუდვა თვითმფრინავის მფრინავებისთვის მექსიკის სამოქალაქო ავიაციაში არ არის, კომერციული ფრენებისთვის მისი ზღვარი 65 წელია. სპეციალისტების შეფასებით, სამანევრო და სასწრაფო თვითმფრინავებზე ფრენა საკმაოდ რთულია. როგორც წესი, ასეთი ლაინერების მფრინავებს შეცდომის დაშვების უფლება არ აქვთ.

* * *

**აშშ-მა მესამედ გაუშვა ორბიტაზე საიდუმლო უპილოტო თვითმფრინავი საიდუმლო მისიით**



მრავალჯერადი გამოყენების მინიშატლი, ზოგიერთი ექსპერტის ვარაუდით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაზვერვის მიზნით და მას შეუძლია გამოიყვანოს წყობილებიდან თანამგზავრი. სხვა სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ უპილოტო თვითმფრინავს გამოიყენებენ სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის.

* * *

**ობამამ მეამბოხეები აღიარა სირიის კანონიერ ხელისუფლებად. მაგრამ აშშ მათ იარაღს არ მიაწვდის**

ჯერჯერობით ამერიკის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ვაშინგტონის პოზიცია სირიის ოპოზიციის მხარდაჭერის საკითხში არ შეცვლილა: ამერიკის შეერთებული შტატები უწევს მას ჰუმანიტარულ დახმარებას და აწვდის კავშირგაბმულობის საშუალებებს. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ანონიმურობის პირობით, არ გამორიცხა, რომ მალე საუბარი შეიარაღებაზეც დაიწყება.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ რაო, რაო?

# ბიუჯეტი გადამღერებულიაო?!.



**ხალხმა ოცნება აისრულა, როგორც იქნა, ხელისუფლებაში მოვიდა ისეთი ძალა, რომელიც ქვეყანაში აღადგენს ნაცების მიერ გათელილ სამართლიანობას, წამოაყენებს წაქცეულ ეკონომიკას, განვითარების რეალურ პირობებს შეუქმნის დაშინებულ და გაძარცვულ ბიზნესს, გადაჭრის უმუშევრობის, ადამიანთა სოციალურ და ჯანდაცვით პრობლემებს. თავის მხრივ, ყინჩად გამოიყურებიან ნაცმოძრაობის თავკაცებიც — ნახეთ რა ვაჟკაცურად შევეგუეთ დამარცხებას და ძალაუფლების დემოკრატიულად გადაცემასო, — გაჰყვირიან ისინი, რასაც ხმაშეწყობილად აძლევენ ბანს მათი უცხოელი სატელიტები.**

ამასობაში, ვიდრე ქუთაისში მოღვაწე პარლამენტი დაკავებულია აქტუალური საკანონმდებლო და საბიუჯეტო საკითხების გადაწყვეტით, ხოლო სამართალდამცავი ორგანოები — ნაცმოძის მმართველობის ხანაში ჩადენილ მასობრივ დანაშაულთა გახსნითა და დამნაშავე პირთა დაპატიმრებით, მიზეზთა და მიზეზთა გამო, მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების მიმართ საზოგადოებაში გაჩნდა არაერთგვაროვანი შეფასებები. რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ კანონის უზენაესობა რომ უნდა დაიცვას და დამნაშვენი მკაცრად უნდა დაისაჯონ, ხალხი ამაში ერთსულოვანია, მაგრამ რაც შეეხება „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამისა და უხვად გაცემული დაპირებების შესრულებას, აი ამ მხრივ კი ერთსულოვნების „ფოლადი“ გაიბზარა და ზოგიერთებში ერთგვარმა იმედგაცრუებამაც იმძლავრა.

### კარტოფილი და პენსია

**რატომ ვიწყებთ კარტოფილით და, საერთოდაც, რა კავშირშია კარტოფილი პენსიასთან? ასეთი კითხვა, ალბათ, ბევრს გაუჩნდება და სამართლიანადაც, მაგრამ მათი ურთიერთკავშირი თუკი სრულიად გამართლებულად და ბუნებრივად მიაჩნია ისეთ კომპეტენტურ პიროვნებას, როგორიც ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადურია, მაშინ მისთვის მოსმენის მეტი რაღა დაგვრჩენია? თუმცა, აქვე დავამატებ, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ, როცა ტელემაყურებელმა ამ საკითხზე მისი გამოსვლა ნახა და მინისტრის დასაბუთებული „ლოგიკური“ მსჯელობა მოისმინა, დარწმუნებული ვარ, ერთგვარად გაკვირვებული და, ცოტა არ იყოს, განცვიფრებულიც დარჩა.**

დავაზუსტებ, რა მოხდა. როცა მინისტრს შეეკითხნენ, რატომ იზრდება პენსია 150 ლარამდე მაინც და მაინც 2013 წლის სექტემბრიდან და არა წლის დასაწყისიდანვე, მან ეს ამბავი კარტოფილის მოსავლის აღების პერიოდს დაუკავშირა და, თურმე, არცთუ შემთხვევით. მახსოვს, თქვა მან, ამ ხუთი წლის წინათ, როცა ნაცების მთავრობამ პენსია იანვარში გაზარდა, ამას რა უარყოფითი შედეგი მოჰყვა. პენსიონერები, რომელთაც ცოტა მეტი ფული მოიგდეს ხელთ, მაშინვე ბაზარს ეცნენ და ტომრები კარტოფილით გაავსეს. ამან, რა თქმა უნდა, მოხმარებასთან ერთად კარტოფილის ფასიც გაზარდა და პენსიონერებმა რეალურად შეღავათი ვერ იგრძნეს. ეს რომ აღარ გამეორდეს, ამიტომ გადავწყვიტეთ, პენსიები მომავალი წლის სექტემბერში გავზარდოთ, ამ პერიოდისთვის კარტოფილის მოსავალი ახალი აღებულია, ბაზარი გაჯერებულია და მათზე მოხმარების ზრდა ფასზე გავლენას ვერ მოახდენს.

აი, თურმე რაში ყოფილა დამარხული ძაღლის თავი — კარტოფილის მოსავალსა და პენსიის ზრდას შორის თურმე კანონზომიერი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ყოფილა და ეს არ იცოდნენ წინა მთავრობის ჩინოსანმა სპეციალისტებმა. უნდა გავუგოთ ახალი მთავრობის ახალ მინისტრს, როცა პენსია იანვრიდან კი არა, სექტემბრიდან იზრდება და ისიც ძველთან (140 ლარი) შედარებით მხოლოდ 10 ლარით, რა თქმა უნდა, პენსიონერი, წამლების შეძენის შემდეგ ფული თუ კიდევ მორჩა, უწინარესად, ბაზარში კარტოფილის საყიდლად გაიქცევა და ინფლაციაც უმალ წამოგვეწევა(!). ყველაფერი ნათელია (ჩვენთან პენსიონერები მხოლოდ წამლითა და კარტოფილით უნდა დაკმაყოფილდნენ), მაგრამ მომავალ წელს კარტოფილის მოსავალმა რომ არ გაგვიმართლოს, პენსიისთვის იმ 10 ლარის მომატებამ კიდევ ერთი წლით უნდა გადაიწიოს?!

ასეთმა უსიამოვნო კითხვამ კი გამირბინა თავში, მაგრამ ჩემს მიხვედრილობაში მაინც შემეპარა გონივრული ეჭვი და მეტი სიცხადისათვის გადავწყვიტე, აზრის გამოთქმა საზოგადოებისთვის არც თუ ისე „ცნობადი“ ეკონომისტისთვის მეთხოვა.

— გეტყვი, რასაც ვფიქრობ, — განმიცხადა მან. — ვიდრე ეს ხელისუფლება სათავეში მოვიდოდა, გვპირდებოდა, რომ პენსია 220-230 ლარის ფარგლებში იქნებოდა. მაგრამ, გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ პროგრამაში ჩაწერილია, რომ პენსია საარსებო მინიმუმს გაუთანაბრდება. შეიძლება ხელისუფლებას დავეთანხმოთ იმაში, რომ 150-ლარიანი პენსია, დღევანდელი ნორმების გათვალისწინებით მართლაც საარსებო მინიმუმის ტოლია, მაგრამ დღეს რატომღაც არავინ საუბრობს იმაზე, რომ ამ მთავრობას საარსებო მინიმუმის დათვლის ახალი მექანიზმი უნდა შემოეღო, რაც პენსიის 220 ან 230, გნებავთ, 250 ლარამდე ზრდის საფუძველი გახდებოდა. ძველი მეთოდოლოგიის ახლით შეცვლას ეკონომიკის მინისტრის კანონქვემდებარე აქტი სჭირდება. რომლის მიხედვითაც სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური ახალ საარსებო მინიმუმს დაიანგარიშებს. ამ პროცედურას სულ რაღაც ერთი კვირა სჭირდება, მაგრამ, ვვეჭვობ, ახალ ხელისუფლებას ამ ეტაპზე საარსებო მინიმუმის ახლებურად დაანგარიშება და პენსიის 220-230 ლარამდე გაზრდა სურდეს.

### გაუშიფრავი ხარჯები

**ვისარგებლე მომენტით, რომ ეკონომისტთან ვსაუბრობდი, და სხვა საკითხებითაც დავინტერესდი, უწინარესად, კი იმით, რამდენად გამჭვირვალეა ქვეყნის ახალი ბიუჯეტი. ახალი მთავრობის ეკონომიკური გუნდი რომ ტრაბახობს — ძველი ბიუჯეტისგან განსხვავებით, რომელიც გაუშიფრავი ხარჯებით იყო გაძეძგილი, ახალში მსგავს შემთხვევას სანთლითაც რომ ეძებოთ, ვერ შეხვდებითო, მართალია?**

— მართლები არიან ახალი ბიუჯეტის ავტორები, — მიდასტურებს თანამოსაუბრე, როცა ამბობენ, რომ ნაცების ბიუჯეტის მთავარი პრობლემა არაგამჭვირვალობა და არატრანსფერანტულობა იყო. წლების განმავლობაში ვლაპარაკობდით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი პროგრამული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ მხრივ არსებით ცვლილებას ამათაც რომ ვერ მიაღწიეს? სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ ნაცების ბიუჯეტი გადაამღერა და სამოქმედოდ ისევ არაპროგრამული ბიუჯეტი დაგვიდო.

— რაო კაცო, გადაამღერესო? — შევიცხადე, — როგორ გეკადრებათ, ყველას კარგად გვახსოვს, ნაციონალებს ბიუჯეტთან მუშაობის როგორი „კლასიკური“ სტილი ჰქონდათ — თითოეულ სამინისტროს ეძლეოდა არაკლასიფიცირებული ხარჯები, ანუ ეგრეთწოდებული სხვა ხარჯები, რომლებიც მათ არამიზნობრივად, ვისაც როგორ მოეპრიანებოდა, ისე ხარჯავდა. როგორც ვიცი, ბიუჯეტიდან ეს მუხლი (სხვა ხარჯები) საერთოდ ამოიღეს.

— მერე, ვინ ამბობს, რომ არ ამოიღეს? ეგ მუხლი კი ამოიღეს, მაგრამ სამაგიეროდ შექმნეს „მთავრობის ახალი ინიციატივების ფონდი“, რომელსაც იგივე ფუნქცია აკისრია, რაც ეკისრა იმ ყბადაღებულ „სხვა ხარჯების“ მუხლს. ასე რომ, შინაარსობრივად არაფერი შეცვლილა, 2013 წლის ბიუჯეტში კვლავ ვხვდებით დაახლოებით 900 მილიონ ლარზე მეტ არაკლასიფიცირებულ, გაუშიფრავ თანხას, რომელიც კაციშვილმა არ იცის, რაში დაიხარჯება.

— ყოველ შემთხვევაში ამ თანხებს მინისტრები ძვირადღირებულ „ჯიპებში“ მაინც ველარ გადაყრიან.

— თქვენ მასე გეგონოთ. თუ არ გეზარებათ, ჩამოიარეთ სამინისტროები და ახლაც ბლომად შეხვდებით მათი ოფისების წინ ჩამწკრივებულ „ლენდკრუიზერის“ მარკის ახალთახალ „ჯიპებს“(!).

**ვერ დავიჩემებ, რომ საზოგადოებისთვის „ნაკლებად ცნობადი“ ეკონომისტის პირიდან ასპროცენტიანმა ჭეშმარიტებამ იღაღადა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ხალხში ხელისუფალთა მისამართით მსგავსი კრიტიკული აზრი გაჩნდა, თავისთავად ბევრის მაუწყებელია. მით უფრო ისეთი ხელისუფლებისთვის, რომელიც თავს ხალხის მთავრობად მიიჩნევს და მის ყოველ შენიშვნას მყისიერ რეაგირებას უკეთებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ „ქართული ოცნება“ ამ გამოწვევას ისევე როგორც ბევრ სხვას, არ მიაჩუმათებს და, რაც ყველაზე მთავარია, წინა მთავრობასავით არ იცრუებს და ტყუილებით არ გამოგვკვებავს.**

**ოთარ ხუციშვილი**

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◉ ნობელიანტები — 2012

# დაჯილდოება — ორ სეანსად

**ოქტომბრის თვეში მკითხველს 7 პუბლიკაციაში ვუამბობდით ნობელის პრემიის წლევანდელი ლაურეატების შესახებ. იმასაც დავპირდით, რომ დაჯილდოების ცერემონიის თაობაზეც ვაცნობებდით.**

ეს ცერემონია 10 დეკემბერს „ორ ქალაქად“ შედგა — ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოსა და შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში. ოსლოში მას ესწრებოდნენ გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი. აქ დაჯილდოვდნენ ნობელის მშვიდობის პრემიის 2012 წლის ლაურეატის — ევროკავშირის წარმომადგენლები. ევროსაბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ, ევროკავშირის სახით, პრემია მიიღო კოლეგებთან, ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზუსა და ევროპარლამენტის პრეზიდენტ მარტინ შულცთან ერთად (სხვათა შორის, ეს ის ბაროზუ და შულცი არიან, რომლებმაც საქართველოს ახალ ხელისუფლებას ევროპიდან თითი დაუქნიეს ზოგიერთი ვითომდა „ანტინაცური“ ნაბიჯის გამო — **ნ.თ., თ.ე.**).

ნობელის კომიტეტმა ამ ერთობ საპატიო ჯილდოთი ევროკავშირი გამოაჩინა **„კონტინენტზე მშვიდობიანი ინიციატივებისა და დემოკრატიის განვითარებისთვის, მეორე მსოფლიო ომის საშინელებათა შემდეგ რეგიონში სტაბილურობისა და დემოკრატიის შენარჩუნების საქმეში ძვირფასი წვლილისთვის... ევროკავშირის მასტაბილიზებელმა ფუნქციამ საშუალება მოგვცა, რომ ევროპა იმ კონტინენტიდან, სადაც ომები მძვინვარებდნენ, მშვიდობის კუნძულად ქცეულიყო“.**




პრემიის მიღებისას რომპეიმ, რომელმაც ხაზი გაუსვა მომენტის მნიშვნელობას, შენიშნა, რომ კონტინენტზე 60-წლიანი მშვიდობა უეჭველად ევროკავშირის დამსახურებაა, რომელიც სტაბილურობის შენარჩუნების პირველხარისხოვანი ინსტრუმენტია, რასაც ფაქტებიც ადასტურებენო.

ფაქტები სხვა რამესაც მოწმობენ — რომ ყველა ევროპელი როდი „შეურიგდა“ ნობელის კომიტეტის ასეთ „სამშვიდობო“ ვერდიქტს და მრავალმა მათგანმა ღიად გააპროტესტა ევროკავშირისათვის ამგვარი ჯილდოს გადაცემა (ჩვენც, ჩვენი მხრივ, ვაძლევთ თავს შენიშვნის უფლებას — **ნ.თ., თ.ე.**).

საგულისხმოა, რომ ნობელის მშვიდობის პრემია ერთადერთია, რაც ოსლოში გაიცემა. ყველა დანარჩენი პრემია 10 დეკემბრის საღამოს გაიცა სტოკჰოლმში. დაჯილდოების ცერემონიის მერე ყველა ლაურეატი საზეიმო ბანკეტზე მიიწვიეს.

გავიხსენოთ ეს ლაურეატები: ფიზიოლოგიისა და მედიცინის სფეროში — იაპონელი **სინია იამანაკი** და ბრიტანელი **ჯონ გერდონი** (მოზრდილი უჯრედების ღეროვანში გადაპროგრამირებისთვის); ფიზიკის დარგში — ფრანგი **სერჟ აროში** და ამერიკელი (აშშ-ელი) **დევიდ ვაინლენდი** (კვანტურ ოპტიკაში სინათლისა და მატერიის ფუნდამენტური ურთიერთქმედების შესწავლისთვის); ქიმიის განხრით — შტატელები **რობერტ ლეფკოვიცი** და **ბრაიან კობილკა** (G-ცილების რეცეპტორთა გამოკვლევისთვის); ლიტერატურაში — ჩინელი **მო იანი** („ჰალუცინატორული რეალიზმის“ ჟანრში რომ წერს ისტორიის, ზღაპრისა და თანამედროვეობის შერწყმით; აქვე სათქმელად, ჩინეთის წარმომადგენელი პირველად გახდა ლიტერატორი-ნობელიანტი); ეკონომიკაში — აშშ-ელები **ელვინ როტი** და **ლოიდ შეპლი** (მდგრადი განაწილებებისა და ბაზრების მოდელირების თეორიისა და ბაზრების მოდელირების პრაქტიკის შემუშავებისთვის).

ისიც გავიხსენოთ, რომ ნობელის პრემიით 1901 წლიდან ჯილდოვდებიან და სათანადო ცერემონია დიდი შვედის გარდაცვალების დღეს, 10 დეკემბერს იმართება. წლევანდელი „ფულადობა“ 8 მილიონი შვედური კრონია (დაახლოებით 1,2 მილიონ დოლარი).

**ნათია თამარაშვილი,**
**თამაზ ებანოიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ ყრილობა



## ველოსპორტის სათავეში — ომარ ფხაკაძე

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში ველოსპორტსმენებმა მოიყარეს თავი — მომდევნო ოთხწლიანი ვადით თავიანთ თავკაცად დელეგატებმა სახელოვანი სპორტსმენის, მსოფლიოს ჩემპიონისა და ოლიმპიური პრიზიორის — ომარ ფხაკაძის ვაჟი — უმცროსი ომარ ფხაკაძე აირჩიეს. ყრილობის 63-მა დელეგატმა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად ბესიკ ნადირაძის, გენერალურ მდივნად კი რუსლან ჯაოშვილის კანდიდატურას დაუჭირეს მხარი.**

**ვაჟა ნოსირელი**

◉ კარატე

## უხვი ნადავლით



**თურქეთის ქალაქ ტრაბზონში დამთავრდა საბრძოლო ხელოვნებათა თასის გათამაშება, რომელშიც 15 ქვეყნის სპორტსმენები 15 სახეობაში ცდიდნენ ძალებს. საქართველოს დელეგაციის ყველა ასაკისა და სახეობის 350-მა (!) წარმომადგენელმა დაძაბული პაექრობების შემდეგ 35 ოქროს, 44 ვერცხლისა და 60 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა.**

უფროსებს შორის კარატეში, უშუსა და შერეულ ორთაბრძოლებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: დავით ტყებუჩავა, ჰენრი ვეკუა, გიორგი ჯიქია, დიანა დარჩიაშვილი, ნათია თურმანიძე, ზვიად ლაზიაშვილი, ცოტნე შენგელია, ემზარ ტყეშელაშვილი, გიგა გელაშვილი და ზურაბ ჯოჯუა.

**ლაშა დიდია**

◉ მშვილდოსნობა

## გუნდურში ბრინჯაოს დაყაბულდნენ



**აზერბაიჯანის, ბათუმის სასპორტო სკოლის, რუსეთის, თურქეთისა და ირანის მშვილდოსნები მონაწილეობდნენ ბაქოს საერთაშორისო ტურნირში.** აჭარის ნაკრების ღირსებას იცავდნენ 19 წლის ნინო დევაძე, მედეა აბულაძე, ციალა ფუტკარაძე; ტარიელ ქადიძე, ტარიელ ბასილაძე და არჩილ არძენაძე. ინდივიდუალურ შეჯიბრებებში ვერა, მაგრამ ჩვენებმა გუნდურში იყოჩაღეს — ორი მესამე ადგილი დაიკავეს. საგულისხმოა, რომ 24-25 დეკემბერს უკვე აზერბაიჯანელები ესტუმრებიან ხელვაჩაურს, სადაც საერთაშორისო ტურნირი გაიმართება და მასში როგორც აჭარის, ისე ქუთაისის და ასპინძის წარმომადგენლები მოსინჯავენ ძალებს.

**ლექსო ცინცაძე**

◉ კალათბურთი

## ვაი არმიისაგან



**მართალია, წაქცეულს არ ურტყამენ, მაგრამ როცა ევროჩელენჯის ჯგუფური რაუნდის ექვსივე შეხვედრას წააგებ და შენს კვარტეტში უკანასკნელ ადგილს დაიკავებ, ერთი-ორი „სმეშნოი სიტყვის" მოსმენაც უნდა შეგეძლოს.**

**„არმია" — „ტელეკომ ბონი" 77:102**

**ყველაზე შედეგიანები:** ფარღალავა — 20 ქულა („არმია"), ვეიდენი — 21 ქულა („ტელეკომ ბონი").

თამაშის შემდეგ მასპინძელთა თავკაცმა კოტე ტუღუშმა საკუთარ შეგირდთა ფიასკო მოტივაციის დეფიციტს დააბრალა. ალბათ, სადღაც მართალიც იყო — თავდაცვის სამინისტროს გუნდი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დააღწევდა თავს სატურნირო ცხრილის ფსკერს, გერმანულ კლუბს კი მხოლოდ გამარჯვება უხსნიდა გზას მერვედფინალისკენ, მაგრამ რა ვუყოთ იმავე და კიდევ სხვა მეტოქეებთან უთანასწორო ბრძოლებში მთელი შემოდგომის განმავლობაში ნაჭამ სირცხვილს?

მოკლედ, ღმერთმა დაგვიფაროს ახალგაზრდა მწვრთნელს საბედისწერო ნაბიჯის გადადგმისკენ ვუბიძგოთ, როგორც ამას ომის წაგებით ღირსებაშელახული, მაგრამ თავმოყვარე მთავარსარდლები სჩადიოდნენ, მაგრამ ასეთი კრახის შემდეგ მას პოსტის სხვისთვის დათმობა, ვფიქრობ, არ უნდა გაუჭირდეს.

**„ანტვერპენ ჯაიანთსი" — „ჰაპოელ ჰოლონი" 93:74.**

**საბოლოო მდგომარეობა:** „ტელეკომ ბონი", „ჰაპოელ ჰოლონი", „ანტვერპენ ჯაიანთსი" — 4-4, „არმია" — 0 მოგება.

**პლეი-ოფში გერმანიისა და ისრაელის წარმომადგენლები ითამაშებენ.**

**გია პლატონიშვილი**

◉ ფარიკაობა

## გაიხსენეს ოლიმპიური ჩემპიონი



**ამას წინათ ქუვეითში დასავლეთი აზიის საკლუბო ჩემპიონატი გაიმართა ფარიკაობაში. მთავარ ჯილდოს მასპინძლები, ეგვიპტის, ერაყის, იორდანიის, ტუნისის, ყატარის, საუდის არაბეთისა და ირანის გუნდები ეცილებოდნენ ერთმანეთს. რაპირაში შეჯიბრება სეულის ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, ევროპის თასის მფლობელის ვლადიმერ აფციაურის ხსოვნას მიეძღვნა.**

ქართველი ჩემპიონი, რომელიც წლეულს 50 წლისა გარდაიცვალა, 18 წლის განმავლობაში მუშაობდა ქუვეითში. ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა მისი ხელმძღვანელობით ხუთჯერ მოიგეს არაბული სახელმწიფოების ჩემპიონატები. აფციაურის ყოფილმა შეგირდებმა ამჯერადაც იყოჩაღეს — რაპირაში დასავლეთი აზიის საკლუბო თასი ქუვეითის „იარმუკმა" მოიპოვა. გამარჯვებულებს მთავარი პრიზი ოლიმპიური ჩემპიონის მეუღლემ — ირინე სხირტლაძემ გადასცა, რომელიც საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალურ მდივან დავით სახვაძესთან ერთად სპეციალურად მიიწვიეს შეჯიბრებაზე.

**გივი გაგუა**

**სურათზე:** **ირინე სხირტლაძე ქუვეითში დაჯილდოების ცერემონიალზე.**

◉ ტრაგიკული თარიღი

## დაუვიწყარი ვიტალი




**ევროპის თასების მფლობელთა თასი, რომელიც დღეს ისტორიის კუთვნილებაა, თბილისის „დინამომ" 1981 წელს საქართველოში ჩამოიტანა. მან 13 მაისს ანგარიშით 2:1 დაამარცხა ათლეტურად საუცხოოდ მომზადებული იენის „კარლ ცაისი", ღირსეულად დაიცვა ჩვენი ფეხბურთის მაღალი პრესტიჟი და თავისი სახელოვანი ისტორიის მანძილზე ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია.**

დრამატიზმით აღსავსე, შეუპოვარი მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ვიტალი დარასელიამ საფეხბურთო სასწაული მოახდინა, ულამაზესი და, რაც მთავარია, ურთულესი „სლალომით" ჩამოიტოვა რამდენიმე მეტოქე და მარცხენა ფეხით გადამწყვეტი ბურთი გაიტანა. „ვიგრძენი, რომ სწორედ იმ მომენტში უნდა დამერტყა", — იტყვის შემდეგ ვირტუოზული გოლის ავტორი. ეს იყო საუკეთესო გოლი მის ხანმოკლე ცხოვრებაში, ქართველებისათვის კი — საუკუნის გოლი — როგორც მას ცნობილმა ხუროთმოძღვარმა ელგუჯა ამაშუკელმა უწოდა.

წარმოუდგენელია და არც შეიძლება ასეთი გოლების დავიწყება. ვერც საქართველო დაივიწყებს იმ ბედნიერ დღეს — „დინამოს" დიდების მწვერვალს, ვიტალის გონივრულ თამაშს, შემართებას და გამარჯვებისკენ ლტოლვას.

თბილისში დაბრუნებულ ვ. დარასელიას აეროპორტში ერთ-ერთი გულშემატკივარი ფეხზე შემოეხვია და კოცნა დაუწყო. მან ათასობით ქომაგის სახელით ასე გამოხატა აღფრთოვანება აღიარებული კერპისადმი.

ვ. დარასელია „დინამოს" ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი ნახევარმცველი გახლდათ. რა ორგანიზმის პატრონი იყო, არ ვიცი. ერთი ამოსუნთქვით იწყებდა თამაშს და ასევე ამთავრებდა. მისი დაღლა არ მინახავს და არც მსმენია. ვიტალი ტალანტი იყო, ისევე როგორც თავის დროზე გიორგი სიჭინავა, თუმცა დარასელია უფრო შრომისმოყვარე აღმოჩნდა.

ბრწყინვალე ტექნიკით, შესანიშნავი ფიზიკური კონდიციით, წარმატებისა სრულიად ახალგაზრდულ ასაკში, დარასელია არ გაყოყოჩებულა, იყო და ბოლომდე დარჩა საფეხბურთო მოედნის თავმდაბალ, კორექტულ რაინდად.

ამბობენ, დიდი ნოდარ ახალკაცი „დინამოს" აღორძინების იმედს მთლიანად ვიტალის უკავშირებდაო. ის უნდა ყოფილიყო იმ ჯაჭვის მთავარი რგოლი, რომელზეც ახალი გუნდი აიკინძებოდა, მაგრამ... საფეხბურთო კარიერის, ნიჭის გაფურჩქვნის პერიოდში 25 წლისა დაიღუპა. მასთან ერთად კარგა ხნით ჩაესვენა „დინამოს" აღმავლობის იმედიც.

ვიტალი დარასელიამ ფასდაუდებელი ამაგი დასდო როგორც თბილისის „დინამოს", ასევე მთელ საფეხბურთო სამყაროს. სამწუხაროდ, არ დასცალდა გუნდში დიდხანს ყოფნა, თუმცა მისმა ღვაწლმა საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. რამდენის გაკეთება შეეძლო, რომ ეცოცხლა!

ამ დღეებში უდავოდ სასიამოვნო ამბავი გავიგე. „დინამოს" მფლობელმა ბატონმა რომან ფიფიამ ბრძანა: „დინამოს" ბავშვთა საფეხბურთო აკადემიას ვ. დარასელიას სახელს ვაკუთვნებო. ვსარგებლოდ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებ ცნობილ მეცენატს „დინამოს" ბაზის მაღალ დონეზე რეკონსტრუქციისა




და აკადემიის ბრწყინვალე ინფრასტრუქტურის შექმნისათვის. ყოველივე უდავოდ წაადგება ჩვენი ფეხბურთის წინსვლას.

მოედნის ხედვითა და ტაქტიკური აზროვნებით, ბრძოლის დაუოკებელი ჟინით აღსავსე მისი თამაში უმაღლეს სტანდარტებს შეესაბამებოდა და თამამად შეგვიძლია მსოფლიო რანგის ფეხბურთელად ვაღიაროთ, რაც გამოჩნდა კიდეც 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც საფეხბურთო გრანდებს ტოლი არ დაუდო და ეპაექრებოდა, როგორც თანასწორი თანასწორს.

კიდევ ერთი შტრიხი მისი პორტრეტისათვის: მიუხედავად დიდი

ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლის ავტორის სახელი უკვდავია.

დღეს მისი ტრაგიკული დაღუპვიდან ოცდაათი წელი სრულდება. მინდა მოვესწრო იმ დღეს, როდესაც ოჩამჩირეში ყვავილებით შევამკობ მის საფლავს.

**დემიკო ლოლაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვითარება

# დავით საყვარელიძე საგამოძიებო სამსახურში, შესაძლოა, იძულებით მიიყვანონ



**დავით საყვარელიძე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, შესაძლოა, იძულებით მიიყვანონ, — განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა.**

მისი განმარტებით, დავით საყვარელიძეს კანონი ავალდებულებს, მისცეს ჩვენება, ხოლო თუ საგამოძიებო სამსახურში არ გამოცხადდება, ამით კანონს დაარღვევს.

— რაც შეეხება ფრაქციებს, ჩვეულებრივ შემთხვევაში კანონი ადგენს, რომ მოწმე შეიძლება იყოს იძულებით მიყვანილი, თუმცა, პარლამენტის წევრზე ეს წესი არ მოქმედებს. ასე რომ, ამ შემთხვევაში შესაძლოა, მიემართოს პარლამენტს შესაბამისი ნებართვის გაცემის შესახებ, — აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.

„ნაციონალური მოძრაობის" წევრი დავით საყვარელიძე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში რიყის გასხვისების თემასთან დაკავშირებით მოწმის სტატუსით არის დაბარებული, თუმცა, როგორც დავით საყვარელიძე აცხადებს, ჩვენების მისაცემად საგამოძიებო სამსახურში მისვლას არ აპირებს.

ამასთან, განცხადება გაავრცელა მთავარმა პროკურატურამაც, სადაც ნათქვამია, რომ 11 დეკემბერს, 11:24 საათზე, გამომძიებელი დავით ჩუბინიძე დაუკავშირდა მობილურ ტელეფონზე პარლამენტის წევრ დავით საყვარელიძეს, რომელსაც ჰკითხა, თუ რა მისამართზე მიეტანა უწყება პირადად მისთვის ჩასაბარებლად, რაზედაც მიიღო პასუხი, რომ გამოძიებისათვის საინტერესო თემასთან დაკავშირებით პროცესში მთლიანად ჩართული იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბატონი ბიძინა ივანიშვილი, გამოძიებამ ჯერ დაკითხოს პრემიერ-მინისტრი და შემდგომ გამოცხადდებოდა გამომძიებელთან".

გახსენება

# რომან ქურხულს



**გილოცავთ დაბადების დღეს!**

ეს დღე უშენობას მოკლებული, ცრემლიანი და ტკივილიანია, დღეს შენ 88 წლის გახდებოდი. შევავლებ შენს სურათებს თვალს და თვალწინ დამიდგება, უკეთილშობილესი, უთბილესი, უტკბილესი მამა, რომელმაც ადრე დატოვა წუთისოფელი. იყავი ოჯახის მოყვარული, შვილებზე გადამკვდარი, ყველასათვის კეთილი სულის ადამიანი, სულ ვფიქრობ, როგორი ტკბილი მოხუცი იქნებოდი.

რომან ქურხულო! შენ დააკლდი ოჯახს, სანათესაოს, მეზობლებს. რა ძნელია უშენობის 26 წელი!

მამა, შენი სიძლიერე და სიყვარული მემკვიდრეობით გადმოგვეცა, მე და ჩემი და ერთ მუშტად შეკრული ოჯახი ვართ 3 შვილიშვილით და 6 შვილთაშვილით.

იძინე მშვიდად, ჩვენ ყველას გვიყვარხარ!

ჩვენ მუდამ ვლოცულობთ შენი და დედას სულის სიმშვიდისთვის. გინთებთ წმინდა სანთლებს!

**ნაირა და ელიკო ქურხულები**
10 დეკემბერი, 2012 წ.

დიდი პოლიტიკა

# „მექალთანეები" და „მორალისტები"

**ამერიკელმა ისტორიკოსმა სტივენ მილმანმა საგულისხმო კანონზომიერებას მიაგნო. მან, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში XX საუკუნეში ეკონომიკის საკვანძო მაჩვენებლები შეადარა სხვადასხვა პრეზიდენტის დროს, რომლებიც, პირობითად, „ცოლების ერთგულებად" და „მექალთანეებად" დაყო. შედეგი საკმაოდ საგულისხმო აღმოჩნდა: „მექალთანეთა" პრეზიდენტობის დროს ეკონომიკური ზრდის ტემპები სამჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე „მოთვინიერებულ ქმართა" მმართველობისას (7,34 პროცენტი 2,17 პროცენტზე), ამერიკელთა შემოსავლის დონე — ორჯერ მაღალი (3,1 პროცენტი 1,6 პროცენტზე). „მექალთანეთა" ხელმძღვანელობის პერიოდში უმუშევრობა საშუალოდ 1,65 პროცენტით მცირდებოდა, „ერთგული ქმრების" ხელში კი ის 0,19 პროცენტით იზრდებოდა, აქედან პირველებს ამერიკელთა 50 პროცენტი ენდობოდა, ხოლო „მორალისტებს" — 39,7 პროცენტი.**

სტივენ მილმანის სიის პირველი ნომერია **ფრანკლინ დელანო რუზველტი,** რომელმაც ქვეყანა და მთელი დასავლეთი დიდი დეპრესიის ქაოსიდან ამოიყვანა, ამერიკა ატომური ბომბით შეიარაღებულ სუპერსახელმწიფოდ, დოლარი კი მსოფლიო ვალუტად აქცია. **იგი ქვეყნის ისტორიაში ერთადერთი პრეზიდენტია, რომელიც მადლიერმა ხალხმა ოთხჯერ ზედიზედ აირჩია.** მას, ალბათ, მეხუთედაც აირჩევდნენ, მაგრამ 63 წლის პრეზიდენტი მოულოდნელად... საყვარლის სახლში გარდაიცვალა.

ცოლი, საკუთარი შორეული ნათესავი ელეონორა, მან 23 წლის ასაკში შეირთო, ქორწილში ნათლია კი პატარძლის ბიძა, ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი იყო. ცოლმა მის კარიერაში უდიდესი როლი შეასრულა. 39 წლის ასაკში პოლიომიელიტის გამო ფრანკლინს ფეხები წაერთვა, რის შემდეგ იგი ქვეყანას და მსოფლიოს ცოლის თვალით უცქერდა, არადა, ფრანკლინის საყვარელი წლების მანძილზე ელეონორას... მდივანი ლუსი მერსერი იყო. ეს ამბავი რომ შეიტყო, ელეონორამ ხუთ შვილთან ერთად ქმარი მიატოვა და განქორწინება მოითხოვა, რაზეც ფრანკლინი დათანხმდა, მაგრამ მისმა მკაცრმა დედამ შვილს შეუთვალა, რომ თუ ოჯახს მიატოვებდა, ანდერძიდან ამოშლიდა — გაყრა ხომ კარიერის დასასრული იქნებოდა! ფრანკლინმა ლუსისთან კავშირის გაწყვეტის პირობა დადო, ცოლმა მას აპატია, მაგრამ მოგვიანებით საყვარლებმა მაინც განაგრძეს ურთიერთობა.

რუზველტის გარემოცვამ იცოდა შეფის სასიყვარულო კავშირის შესახებ — ფრანკლინი ხეიბრის ეტლით გადაადგილდებოდა, ამდენად კონსპირაციაზე ლაპარაკიც არ იყო, მაგრამ ამბავი არ გახმაურებულა. ფრანკლინ რუზველტის გარდაცვალებიდან მხოლოდ 21 წლის შემდეგ მისმა ადიუტანტმა ჯ.დენიელმა დაწერა წიგნი შეფის სასიყვარულო კავშირის შესახებ, შემდგომ კი სხვა ქალბატონების გვარებიც გახდა ცნობილი: დიდი პრეზიდენტის „დონჟუანურ ნადავლში" აღმოჩნდნენ ნორვეგიელი კრონპრინცესა მართა, შრომის მინისტრი ფრენსის პერკინსი, შორეული ნათესავი მარგარეტ საქლი, მდივნები მარგარიტა ლეჟუენდი, გრეის ტალი...

გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის" მფლობელი დოროთი შიკი, ბანკირ იაკობ შიკის შვილიშვილი, რომელმაც, მოარული ხმებით, ლენინი და მისი ოქტომბრის გადატრიალება დააფინანსა, მოგვიანებით წერდა: „ფრანკლინ რუზველტი უაღრესად სასიამოვნო და სექსუალური მამაკაცი იყო. იგი იზოლირებულ სამყაროში ცხოვრობდა და ისეთ ქალს ეძებდა, რომელიც აღაგზნებდა კიდეც, თან კომპანიონობასაც გაუწევდა. სნეულების მიუხედავად მას ძლიერი სხეული ჰქონდა".



მართალია, ამერიკის შეერთებული შტატების უახლეს ისტორიაში სხვა მექალთანე პრეზიდენტებიც იყვნენ, მაგრამ მათგან, ალბათ, მაინც ვერავინ შეედრება კიდევ ერთ დიდ პრეზიდენტსა და ასევე დიდ მექალთანეს **ჯონ ფიცჯერალდ კენედის,** რომელსაც ახლო მეგობრების წრეში „ულაყას" ეძახდნენ: იგი „ამას" სწრაფად და ფეხზე დგომელა აკეთებდა, რადგან ომში ხერხემალი ჰქონდა დაზიანებული. მისი სექს-კოლექციის მთავარი მარგალიტი კი ულამაზესი მერილინ მონროა. პრეზიდენტ კენედის უამრავი სხვა საყვარელიც ჰყავდა, მათ შორის მოდელები, მსახიობები, სტაჟიორები, თუმცა კი, მათ შესახებ ფართო საზოგადოებამ არაფერი იცოდა, ახლობლები და დაცვა ამაზე კრინტს არ ძრავდნენ. მის ერთგულ თაყვანისმცემელ **ბილ კლინტონს** ასე არ გაუმართლა — მისი რომანი თეთრი სახლის სტაჟიორ მონიკა ლევინსკისთან საქვეყნოდ გახმაურდა. პრეზიდენტს ლევინსკის კაბაზე საეჭვო ლაქის პატრონის დასადგენად ანალიზების ჩაბარების უაღრესად დამამცირებელი პროცედურის გავლა მოუხდა. გამოძიებათა ფედერალური ბიუროს ლაბორატორიის დასკვნის თანახმად, კლინტონის დნმ-ი კაბიდან აღებულ ნიმუშს ემთხვეოდა.

პროკურორმა კენეტ სთარმა მოხსენებაში დაწვრილებით აღწერა 49 წლის კლინტონის 22 წლის ლევინსკისთან ათივე სექსუალური კონტაქტი — სად მოხდა ყველაფერი, როგორ, რა პოზაში, სხეულის რომელი ნაწილებით. მან სიგარაც კი დააფიქსირა, რომელიც ბილმა საყვარლის ერთი ინტიმური ადგილიდან ამოღების შემდეგ გემრიელად გააფუილა. თეთრ სახლში კონტაქტების დროს კლინტონიც, კენედის მსგავსად, უფრო ხშირად კედელს მიყუდებული იდგა — როგორც ჩანს, მასაც წელი აწუხებდა...

ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს ამერიკის ბიუჯეტი, მრავალი წლის პაუზის შემდეგ, პირველად გახდა პროფიციტური, მაღალი ტექნოლოგიების სფეროში კი იაპონიას გაუსწრო და მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა. გარდა ამისა, მკვეთრად შემცირდა უმუშევრობა და საგარეო ვალი. მაგრამ, როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, ყველა მისი დიადი ქმედება მონიკა ლევინსკის კაბაზე ლაქამ გადაფარა!

XXI საუკუნეში „მექალთანე" კლინტონის შემდეგ თეთრ სახლში ერთგული ქმარი **ჯორჯ ბუშ-უმცროსი** მოვიდა, რომელიც მერე ასევე ერთგულმა მეუღლემ, აგერ უკვე მეორე ვადით არჩეულმა **ბარაკ ობამამ** შეცვალა. არც ერთი მათგანი რაიმე მსგავს ქმედებაში ეჭვმიტანილიც არ არის, მაგრამ რა დღეშია ქვეყნის ეკონომიკა? ბუშის დროს ამერიკიდან მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი დაატყდა, ობამას დროს ამერიკა დეფოლტის პირას იდგა, სახელმწიფო ვალი კი კატასტროფულად გაიზარდა.

ესეც თქვენი ერთგული ქმრები!

**ნინო ალექსანდრია**

**სურათზე: ფრანკლინ დელანო რუზველტი, მისი მეუღლე ელეონორა და საყვარელი ლუსი მერსერი.**

**მეუღლე ცირა გორგოძე, შვილი ოთარი, რძალი ინგა ლობჟანიძე, შვილიშვილები ანი, ბექა, ძმისწულები ნოდარი, გიორგი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ილია (კუკური) აგლაძე**

**პანაშვიდი 13, 14 XII, 16 სთ. მისამართი: ბახტრიონის ქ. №16. V სადარბაზო. მე-7 სართული, გამოსვენება 14 სთ. საბურთალოს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიდან.**

**„ახალი ქსელების" ადმინისტრაცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კავშირგაბმულობის სისტემის ღვაწლმოსილი და დამსახურებული მუშაკი, ამჟამად „ახალი ქსელების" ქუთაისის ფილიალის ინტერნეტსამსახურის მენეჯერი**

**ნუგზარ ბუხულეიშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.**

**საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კლინიკის ექიმ მეან-გინეკოლოგს ნაზიბროლა ლექვთაძეს გარდაეცვალა დედა**

**ვენერა ვლადიმერის ასული ბაბუნაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

ინფორმაცია

## ავტომობილების ტექდათვალიერების აღდგენამ ერთი წლით გადაიწია

**ნორმა ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების აუცილებლობის შესახებ ძალაში მომავალი წლიდან არ შევა. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სასტუმრო „თბილისი მარიოტში„ ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნული ნორმის ამოქმედების ვადამ ერთი წლით გადაიწია.**

**ავტომობილებზე სავალდებულო ტექდათვალიერება 2004 წელს გაუქმდა. ამასთან, არსებული ინფორმაციით, მაშინ „საგზაო უსაფრთხოების შესახებ" კანონში გაკეთდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ავტომანქანების ტექდათვალიერება 2013 წლის 1 იანვრიდან უნდა განახლებულიყო.**

## მედიკამენტების საცალო გაყიდვა ნებადართულია

**საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო მედიკამენტების საცალო გაყიდვასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, მედიკამენტების საცალო გაყიდვის შესახებ აკრძალვა დაწესებული არ არის. სამინისტრო განმარტავს, რომ არანაირი სახის ახალი რეგულაცია არ ყოფილა დაწესებული. ძალაშია მხოლოდ მოქმედი ნორმატივები, რომლის მიხედვითაც საცალო გაყიდვაზე არ ვრცელდება არანაირი სახის შეზღუდვა მაშინ, როდესაც მედიკამენტი მოთავსებულია ფირფიტაში, ბლისტერში ან სხვა სახის კომპაქტურ დაფასოებაში.**

**— რაც შეეხება დიდი მოცულობის შეფუთვიდან აბების ან კაფსულების გადანაწილებას პოლიეთილენის პაკეტებში, შეზღუდვა ან რაიმე სახის აკრძალვა არც აქ ყოფილა დაწესებული. განსხვავება ის არის, რომ ამ სახის გადაფასოება (განსხვავებით ზემოთ აღწერილი განცალკევებისაგან) მოითხოვს გარკვეული მარტივი პირობების დაცვას. ამ პირობების დაცვის შემთხვევაში, საცალო გაცემა შესაძლებელი გახდება შეუფერხებლად, — ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

**იმ მოქალაქეებს, რომლებსაც პრობლემები შეექმნებათ მედიკამენტების საცალო შეძენაზე, შეუძლიათ დაუკავშირდნენ ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს: 15 05.**

**ინტერპრესნიუსი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დაიჯესტი

### გაციებასთან ომი

**ინგლისის დედოფალი ცოტა ხნის წინათ ავად გახდა: მისი უდიდებულესობა ელისაბედ II გაცივდა. ისე კი, კაცმა რომ თქვას, ძლიერნი ამა ქვეყნისანი მუდამ საზოგადოების, მასმედიის ყურადღების ცენტრში არიან და, ერთი შეხედვით, თითქოს ავადაც არასდროს ხდებიან. ჩვენ კი, უბრალო მოკვდავებმა, როგორ უნდა ავარიდოთ თავი გაციებასა და გრიპს?**

— სწრაფი გამოჯანმრთელება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი ავადმყოფობას უც-



ბათ „ჩაავლებთ“, — აცხადებენ სპეციალისტები. — თუ ვირუსი ორგანიზმში თავის ძირგამომთხრელ მოღვაწეობას დაიწყებს, ავადმყოფობის დაძლევა უფრო გაგიჭირდებათ.

#### გათბით!

**შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში გაციება — სითბოს ნაკლებლობის შედეგია. ამიტომაც თქვენი მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება მალე გათბეთ. თავდაპირველად რაც შეიძლება თბილად ჩაიცვით და ცხელი ჩაი დალიეთ. გათბობის „რეკორდსმენია“ — კოჭას სასმელი.** სხვათა შორის, კოჭა ასევე ცნობილია თავისი ანტისეპტიკური თვისებებით. გაციების საწინააღმდეგო კიდევ ერთი ძლიერი საშუალებაა ჩვეულებრივი შავი ჩაი ჟოლოს მურაბით (რომელიც ასპირინივით ანტისალიცილის მჟავას შეიცავს), ლიმნით (რომელიც მდიდარია C ვიტამინით და ეთეროვანი ზეთებით) და თაფლით (იგი საუცხოო ანტიბაქტერიული და ანთების საწინააღმდეგო საშუალებაა).

თუკი მზად ხართ, ალკოჰოლის მისაღებად — მაშინ გლინტვეინი მოიმზადეთ. მისი ინგრედიენტებია წითელი ღვინო, დარიჩინი, თაფლი, ლიმონი და ფორთოხალი. სხვათა შორის, „გლინტვეინი“ „აალებულ ღვინოს“ ნიშნავს.

#### დალიეთ ქათმის ბულიონი!

**ჯერ კიდევ ჩვენმა ბებიებმა იცოდნენ, რომ გაციებისას ქათმის ბულიონი საუცხოო საშუალებაა.** ნებრასკის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევებმა ეს ამბავი ექსპერიმენტულად დაადასტურეს — მოხალისეებს, ვინც გაციების დროს ქათმის ბულიონს ხვრეპდნენ, სისხლის ანალიზები აუღეს, რომლებითაც ნეიტროფილების აქტივობის ზრდა დაფიქსირდა — ისინი ინფექციებისგან ორგანიზმის დამცველი ლეიკოციტების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენენ.

#### მიიღეთ ვიტამინი C

**უწინ C ვიტამინის მიღებას გაციების პროფილაქტიკის მიზნით ურჩევდნენ.** მაგრამ არაერთი გამოკვლევის შედეგად დადასტურდა, რომ C ვიტამინის დიდი დოზებით მიღების დროსაც კი გაციების ალბათობა არ იკლებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მის ხანგრძლივობას ამცირებს. ამიტომ მისი მიღება მაშინვეა საჭირო, როცა „ყველაფერი იწყება“.

### ბოსტნეულის „ჩემპიონები“

**ინგლისელი პიტერ გლეიზბრუკი, რომ იტყვიან, მეურნე კაცია, რომელსაც ყოველ წელს თავის ნაკვეთზე ფანტასტიკური გაბარიტების ბოსტნეული მოჰყავს.**



წლეულს პატარა ქალაქ ჰეროგეიტში გამართულ საშემოდგომო ფესტივალზე მისტერ გლეიზბრუკმა კვლავ გააოცა ყველანი: მან მსოფლიოში ყველაზე დიდი ხახვის ბოლქვი მოიყვანა, რომლის წონაა 8 კილოგრამი და 195 გრამი. ამას გარდა, თავის ბოსტანში მან ასევე მოიწია გოლიათი — 54 კილოგრამი და 318 გრამი წონის ყაბაყი, გოლიათი — 36 კილოგრამი და 912 გრამი წონის კომბოსტო, ყველაზე გრძელი კიტრი — თითქმის 82 სანტიმეტრი!

ჭირნახული, ცხადია, ძალიან შთამბეჭდავი და ლამაზი სანახავია, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ერთობ არაფუნქციონალური!

### ვის „გააცოცხლებენ“ მომავალში?

**ამჟამად ბევრს ლაპარაკობენ სხვადასხვა ცოცხალი ორგანიზმის კლონირების შესახებ, თუმცა კი ყველა ცხოველის ბიოლოგიურად აღდგენა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.**

გადაშენებული სახეობებიდან, რომელთა ასაკი პლეისტოცენის ეპოქით თარიღდება (2,6 მილიონი — 11,7 ათასი წლის წინათ) და რომელთა კლონირება შესაძლებელია, ასახელებენ მამონტებს, ბალნიან მარტორქებს, გიგანტურ ირმებს, გეპარდებსა და ჩანთოსან ლომებს.

თუმცა კი, მეცნიერთა აზრით, თეორიულად შესაძლებელია მხოლოდ იმ ცოცხალ არსებათა კლონირება, რომელთა დნკ მთლიანად, ანდა, არანაკლებ 99 პროცენტია შემორჩენილი და, ამავე დროს, მათი ძალიან ახლობელი მონათესავე სახეობებია შემორჩენილი.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### „მაესტროზე“ პოლიტიკური თოქ-შოუები იხურება?

როგორც „ქართულ სიტყვას“ კონფიდენციალურმა წყარომ აცნობა, მალე ქართულ ტელევიზიებში, საინფორმაციო გამოშვების გარდა, თითქმის ყველა პოლიტიკური გადაცემა დაიხურება. წყაროსვე თქმით, პოლიტიკურ თოქ-შოუების დახურვა „მაესტროდან“ დაიწყება და ტელევიზია მთლიანად გასართობ არხად გადაიქცევა. ინფორმატორი ვერ აკონკრეტებს, თუ რა მოელის პოლიტიკური თოქ-შოუების წამყვანებს, თუმცა ამბობს, რომ „მაესტროზე“ შალვა რამიშვილი დარჩება, რომელიც ღამის არაპოლიტიკურ გადაცემას გააკეთებს.

**„ქართული სიტყვა“**

### რატომ შეჩერდა ახალციხეში ერთადერთი ქართულენოვანი გაზეთის გამოცემა

ახალციხიდან გაზეთ „ადგილის დედა — ახალციხის“ მთავარი რედაქტორი, ტელეპროექტ „იმედის გმირის“ გამარჯვებული იზოლდა წიქარიშვილი დაგვიკავშირდა და გვაცნობა, რომ ახალციხეში გამომავალი ერთადერთი ქართულენოვანი გაზეთი დაიხურა, რაშიც წვლილი მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას და ყოფილი პრემიერის ვანო მერაბიშვილის დედას ჟენია მერაბიშვილს მიუძღვით.

**„ყველა სიახლე“**

### ლუკაშენკო მზადაა, საქართველოს ხელისუფლებას დაუჩოქოს

ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო აცხადებს, რომ ყველაფერს გააკეთებს საქართველოს დსთ-ში დასაბრუნებლად და ამისთვის მზადაა, საქართველოს მთავრობას დაუჩოქოს კიდეც. „1 იანვრიდან ბელორუსი იქნება დსთ-ს თავმჯდომარე ქვეყანა და ჩვენ ორგანიზაციაში საქართველოს ველით. მე ჩამოვალ თქვენთან, დავიჩოქებ თქვენს წინაშე არა საჯაროდ, თუმცა, თუ სურვილი გექნებათ, საჯაროდაც და, გთხოვთ, დაბრუნდეთ დსთ-ში“ — აღნიშნა ლუკაშენკომ.

**„ახალი თაობა“**

### მანდატურები დირექტორებსა და მასწავლებლებს აღარ გააკონტროლებენ

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების მიხედვით მანდატურის უფლება-მოვალეობები იცვლება. განათლების სამინისტროს მიერ ინიცირებული ცვლილებები პარლამენტის ბიუროს სხდომაზე უკვე წარადგინეს და მისი განხილვა მომავალ კვირასაა დაგეგმილი. ცვლილებების მიხედვით, მანდატურს ჩამოშორდება მასწავლებლისა და დირექტორის მაკონტროლებლის ფუნქცია, ხოლო უსაფრთხოება და დანაშაულის პრევენცია კვლავ მათ ფუნქციებში დარჩება“.

**„რეზონანსი“**

### ჟურნალისტი ირინე გოგოსაშვილი პასუხობს...

„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულმა სკანდალურმა წერილმა „ტვ-9 არხიდან ნაციონალების აგენტურა გარბის“ არხის ყოფილი ხელმძღვანელის და ტელევიზიის სხვა ყოფილი თანამშრომლების გულისწყრომა გამოიწვია.

ამ თემასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ტელეარხზე ერთდროულად გავიდა რამდენიმე სატელევიზიო სიუჟეტი, სადაც „ტვ-9“ ყოფილი თანამშრომლების მხრიდან „საერთო გაზეთისა“ და ჟურნალისტ ირინე გოგოსაშვილის მისამართით უარყოფითი კომენტარები გაკეთდა, რასაც ირინე გოგოსაშვილი პასუხობს.

**„საერთო გაზეთი“**

## ანეკდოტები

— მიხო, ამ ბოლო ხანს რად მოუკელი ანეკდოტებსა და ხუმრობებს სიძე-სიდედრის თემაზე?

— რა მეანეკდოტებ-მეხუმრება, კაცო, რა ხანია, მთელი ოჯახი სიდედრის პენსიით ვცხოვრობთ.

* * *

ახალდაქორწინებულები ჯვრისწერისა და ბანკეტის შემდეგ ახალ ბინაში მივიდნენ.

ნეფე, დიდი წვალების მიუხედავად, ვერ ახვედრებს გასაღებს კლიტის ჭრილში.

— მდაა, ცუდი დასაწყისია! — ჩაილაპარაკებს პატარძალი.

* * *

— მითხარი, ძვირფასო, ნამდვილი მამაკაცი, ვისაც ნაღდად უყვარს ცოლი, ესმის მისი და არ ღალატობს მას, მართლა მითია?



— არა, საყვარელო, ეს მითი კი არა, ლამაზი ზღაპარია!

— სახლში ვზივარ, — ეუბნება მაშა დაშას, — უცებ კარზე აკაკუნებენ. გავაღე — ვიღაც მაღალი, სიმპათიური ახალგაზრდა კაცი დგას, — თქვენი ქმარი სახლშიაო? — მეკითხება. არა-მეთქი. მაშინ დამეტაკა, დივანზე წამომაქცია და...

— წარმოუდგენელია!

— აბა, რა! აქამდე ვერაფრით ვერ გამიგია, რად უნდოდა ჩემი ქმარი...

* * *

— როგორც კი სახლში ხანძარი გაჩნდა, მაშინვე შევვარდი საძინებელში და სიდედრი ხელში ატატებული გამოვიყვანე.

— ჰო, ასეთ სიტუაციაში ადვილი შესაძლებელია, რომ თავი დაკარგო.

* * *

ორი მეძავი ერთმანეთს ხვდება. ერთი ჩივის:

— ეს ხულიგნები სულ თავს გავიდნენ. გუშინ ქუჩაში დამხვდნენ და მითხრეს, ან დაგვნებდი, ან იმღერეო.

— მერე შენ რა ქენი?

— აბა, რა უნდა მექნა, რომელი მარია კალასი მე ვარ?

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com